

რევამ ბარამიძე

იონე ბოლნელი

ცხოვრება და შემოქმედება

ბოლნისი უძველესი დროიდანვე წარმოადგენდა ქართული კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს. ბოლნისი თავისი გეოგრაფიული მდებარეობითა და მდიდარი ბუნებრივი პირობებით ადრიდანვე გადაიქცა დიდ სამეურნეო და სავაჭრო ქალაქად. ზეტად ნაყოფიერი მიწა, ზომიერი ჰავა და წყლის სიუხვე ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით მებაღეობა-მევენახეობისა და მემინდვრეობის გასაფართოებლად.

სოფლის მეურნეობასთან ერთად უძველეს დროში გავრცელებული ყოფილა სამთამადნო მრეწველობაც. როგორც მართებულად აღნიშნავს ლ. მუსხელიძეილი „ამ ადგილას (ბოლნისის მიდამოებში) მოიპოვება მადნეულებიც, რომლებსაც ძველად, პრიმიტიულ საექსპლოატაციო პირობებში, უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ვიდრე დღეს; აქ ცნობილია ჩათახის რკინის მადნები, რომელთა ექსპლოატაცია დიდი ხანი არ არის, რაც შეწყდა, ხოლო ბოლნისის აღმოსავლეთით ვახუშტი ასახელებს სარკინეთის ხევს, საცა «ითხრების ლითონი რკინისა და სპილენძისა და იპოების მცირე ლაქვარდიცა». ამ უკანასკნელ დროს ბოლნისის პირდაპირაც, ფოლადაურის მარჯვენა მხარეს, აღმოჩნდა რკინა, წულრულამენის გასწვრივ. საინტერესოა აგრეთვე, რომ სოფ. სამწვევრისის (ყურჯილარის) პირდაპირ, დასავლეთით ძველი ნასოფლარია, რომელსაც «დამირუსუს», ე. ი. „რკინის წყალს“ ეძახიან, ხოლო ჩათახის ახლოს არის მთა „დემურ-დალ“ ე. ი. „რკინისა“. მდინარე „ფოლადაურის“ სახელწოდებაც, უეჭველია, დაკავშირებული უნდა იყოს მის ხეობაში არსებულსა და უწინ, ალბათ, ექსპლოატაციაში მყოფ მადნებთან¹. განსაკუთრებით მდიდარი მასალა გამოაშკარავდა

¹ ლ. მუსხელიძეილი, ბოლნისი. ენის, ისტორიისა და ნატურალური კულტურის ინსტიტუტის „მოაძბე“, 1, ტ. III, 1938.

ამ ბოლო წლების აღმოჩენებთან დაკავშირებით. კერძოდ, ბევრი რამ ნათელყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის 1959 წ. არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ბოლნისის სიონის მიდამოებში. აღნიშნულმა ექსპედიციამ რკინის მადნის (ჰემატიტის) გამოსაწვავ და საწურ ქურა-სახელოსნოთა ნაშთებს მიაკვლია და გათხარა კიდეც, რის შედეგადაც გამოიჩინა: „ქვემო ბოლნისის სანახებში, მადნეულის გორასთან აღმოჩენილი რკინის მადნის მეტალურგიის ქურა-სახელოსნოს ნაშთები თანმხლები კერამიკის მიხედვით, ძველი წელთაღრიცხვის IX საუკუნით თარიღდება. ძეგლის ასეთ თარიღს მხარს უჭერს სახელოსნოს მახლობლად XI—IX სს. ნასახლარების და სამარხების არსებობა. თვით სახელოსნო ფერდობზე მდებარეობდა (ზომები იყო 12.0×7.5). სახელოსნოს ერთ კუთხეში ქურა მდგარა, შუაში მადნის დასაგროვებელი ადგილი ყოფილა, ხოლო წიდა ფერდობზე უყრიათ, სახელოსნოს წინ.

რკინის საწური ქურის ნაშთები, ნატეხები ქვისაგან თიხაზე ამოყვანილ პრიზმულ ნაგებობას წარმოადგენდა (ზომები: $3,0 \times 1,25 \times 1,0$ მ); ამ მიწოდების შემდეგ ი. გრძელიშვილი დაასკვნის: „საქართველოს რკინის ძველი მეტალურგიის შესწავლის დღევანდელი დონის შესაბამისად უკვე გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ბოლნისი (ფოლადაური) საქართველოს ერთ-ერთი მწვერული რკინის მეტალურგიის ძველი კერაა და ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქურის ნაშთები უძვირფასესი ნიმუშებია მსოფლიოს უძველეს რკინის მეტალურგიაში“².

მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებას, გარდა ადგილობრივი ბუნებრივი პირობებისა, ისიც უწყობდა ხელს, რომ ბოლნისის ხევი წარმოადგენდა მნიშვნელოვან სამომოსვლო გზას, რაც ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას. ამასთანავე ბოლნისი მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა, ბოლნისის გზით მტერი პირდაპირ თბილისისაკენ მოემართებოდა; შემთხვევითი არ არის, რომ ჯალალედინმა თბილისზე გალაშქრების წინ ბოლნისთან შეისვენა, რათა მოეკრიფა ძალები. ემათა აღმწერლის ცნობით ჯალალედინი „დაბანაკებულ იყო ქვესა ბოლნისისასა“.

სოფლის მეურნეობის, მეტალურგიის, ვაჭრობის განვითარება ქმნიდა მაღალ ეკონომიურ დონეს, რაც ხელსაყრელ პირობად იქცა კულტურის განვითარება-გაფუძვლებისათვის.

² ი. გრძელიშვილი, რკინის მეტალურგიის უძველესი კერა საქართველოში. ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის თეზისები, 1960, გვ. 31

მნიშვნელოვან სამეურნეო ინდუსტრიულ ცენტრთან ერთად ბოლნისი იქცა ქართული კულტურის საამაყო კერადაც.

თანამედროვე მეცნიერებას ჯერჯერობით არ მოეპოვება მასალები წინაქრისტიანული მწერლობისა და არქიტექტურის შესახებ ბოლნისის რაიონში, მაგრამ ქრისტიანობის პერიოდიდან ბოლნისის ძეგლები მეტად ამდიდრებენ ქართულ კულტურას. შემთხვევითი არ არის, რომ ერთ-ერთი უძველესი ქართული წარწერა სწორედ ბოლნისში აღმოჩნდა. ეს ფაქტი მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ ქრისტიანობის დამკვიდრების პირველსავე საუკუნეებში მწერლობამ ბოლნისში (დამწერლობის კულტურამ) გარკვეულ დონეს მიაღწია, რომელიც აკმაყოფილებდა ბოლნისის მკვიდრთა მოთხოვნილებას.

V საუკუნისათვის ბოლნისში იმდენად დიდი და განვითარებული მრევლი იყო, რომ ვასტანგ მეფემ აუცილებლად სცნო იქ საეპისკოპოსო კათედრის დაარსება, ეს უდავოდ დიდი კულტურული ფაქტი იყო იმ დროისათვის. ქართველი მემკვიდრეები ხაზგასმით გადმოგვცემენ: „მეფემან ვახტანგ დასუა ერთი ებისკოპოსად კლარჯეთს:—ერთი ბოლნისს“. დიდი მხედართმთავრისა და პოლიტიკოსის, კულტურტრეგერისა და მეცენატის, ვახტანგის დროს აშენდა ბოლნისში ქართული ადრეული არქიტექტურის სიამაყე, ბოლნისის სიონის ტაძარი. ბოლნისის შესახებ შესანიშნავი გამოკვლევის ავტორი ლ. მუსხელიშვილი მართებულად აღნიშნავდა: „სიდიადე შეერთებული სისადავესთან, ცოტათი მძიმე და მოუხეშავი, მაგრამ მტკიცე, ურყევი ფორმები, თავშეკაფებული შემკულობა, ზომიერი, შეიძლება ითქვას, ძუნწი ჩუქურთმა, არც ერთი ნაკვეთი გასართობად, მხოლოდ თვალის გასახარებლად—აი რა ახასიათებს ბოლნისის სიონს“². როგორც აკად. გ. ჩუბინაშვილმა გამოიკვლია, ბოლნისის სიონის ტაძრის ორნამენტები აღმოსავლურ, კერძოდ, სასანიდთა კულტურას ეხმაურება, რაც იმის უდავოდ დამადასტურებელია, რომ იმ დროს ქართული ცივილიზაცია იმდენად მაღალ საფეხურზე იდგა, რომ შემოქმედებით კავშირში იყო მის თანამედროვე მოწინავე ქვეყნებთან და მსოფლიო კულტურის ფერხულში იყო ჩაბმული. ამასთანავე ქართველი შემოქმედი ორიგინალურ ფორმათა გამოვლინებაშიც დიდ გემოვნებასა და ნიქს ავლენს. როგორც აკად. შ. ამირანაშვილი წერს:

² ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის „მოაზრებ“, ტ. III, გვ. 324.

ბოლნისის სიონი „იმ დროის მოწინავე ქვეყნების ხელოვნების მა-
 ლალ დონეზე დგას, თავისებურად უპასუხებს უპოქის მიერ დასა-
 ხულ ზოგად პრობლემებს არქიტექტურის დარგში და მრავალ შე-
 მთხვევაში საკუთარი ძიებისა და მხატვრული გადაწყვეტის ნი-
 მუშებს გვაცლევს. ბოლნისის სიონის გენიოსი არქიტექტორი გა-
 საოცარ ოსტატობით სწყვეტს შენობის ფასადების არქიტექტუ-
 რულ გაფორმებას“⁴. ბოლნისის სიონი იმითაც იპყრობს ჩვენს ყუ-
 რადღებას, რომ მასში გამოვლენა პოვა წინა ქრისტიანულმა ქართუ-
 ლმა ხელოვნებამ, რაც ზოწმობს ქრისტიანობის დამკვიდრებამდე
 საქართველოში არქიტექტურისა და ორნამენტული ხელოვნების მა-
 ლალი კულტურის არსებობას. ქრისტიანულ ცივილიზაციას სა-
 ქართველოში დახვდა დიდი ეროვნული ტრადიცია ხელოვნებისა.
 საქართველოში ადგილი ჰქონდა იმავე მოვლენებს, როგორსაც
 ვხედავთ საბერძნეთში, კერძოდ ა. ვესელოვსკი აღნიშნავს, რომ
 წარმართულ ბერძნულ პედესტალზე ახალმა ქრისტიანულმა რელი-
 გიამ დადგა თავისი ძეგლებიო, ასევე წარმართულ ქართულ კულ-
 ტურას გადაეჯაჭვა ახალი ქრისტიანული კულტურა. პროფ. ლ. მა-
 ცულევიჩს გამოკვლეული აქვს, რომ ბოლნისის ხარის თავის რელი-
 ეფი თავისი წარმოშობით დაკავშირებულია ქართველი ხალხის
 წარმართული ხანის რელიგიურ რწმენასთან. ასე რომ საქართვე-
 ლოში ქრისტიანობის დამკვიდრების პერიოდშივე ისეთი დიდე-
 ბული, მაღალი მხატვრული ღირსების მქონე ტაძრის აგება, რო-
 გორიც არის ბოლნისის სიონი, თავისი მრავალმხრივი საყურად-
 ლებო ორნამენტებით, აიხსნება სწორედ იმით, რომ საქართვე-
 ლოში უკვე არსებობდა ხელოვნების მაღალი კულტურა, დიდი შე-
 მოქმედებითი ტრადიცია.

ბოლნისის სიონის ტაძრის ახლო რაიონებში დღესდღეობით
 შეინიშნება ექვსი ნანგრევი, რაც კიდევ უფრო ნათელყოფს, რომ
 ბოლნისი ადრეულ საუკუნეებში მკიდროდ დასახლებული, საკ-
 მაოდ მოზრდილი ქალაქი იყო და კულტურის საკმაოდ მნიშვნე-
 ლოვან კერას წარმოადგენდა. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმო-
 უდგენელია ახსნა ამდენი ეკლესიის ნაგებობათა და ნასახლართა.
 ნაშთების თავმოყრისა ერთ გარკვეულ პუნქტში, ბოლნისის ირ-
 გვლივ.

ბოლნისი, ვახტანგ გორგასლის მიერ საეპისკოპოსო კათედ-
 რის დაარსებიდან, საუკუნეების მანძილზე იყო ქართული კულ-

⁴ შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1944, გვ. 118.

ტურის მნიშვნელოვანი ცენტრი, ხოლო X—XI სს. იქ განსაკუთრებით აყვავდა მწერლობა, კერძოდ ორატორული ხელოვნება, რის შედეგადაც ამ საუკუნეებმა მოგვცეს მჭევრმეტყველების ისეთი დიდი ოსტატი, როგორც იყო იოანე ბოლნელი.

აღნიშნული საუკუნეები გამოირჩევა, როგორც საქართველოს ეკონომიურად და პოლიტიკურად მომძლავრების, კულტურული აღორძინების ეპოქა.

ბაგრატ III ბრძნულმა და ენერგიულმა მოღვაწეობამ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს გაერთიანებას. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „ბაგრატ მეფის მტკიცე ხასიათმა, ბრძნულმა და წინდახედულმა მმართველობამ, ვაეკაცურმა გულადობამ და შორს-გამჭვრეტელმა პოლიტიკამ საქართველო გააერთიანა და მის ძლიერებას მკვიდრი საფუძველი დაუდვა“⁵. პოლიტიკურად მომძლავრებამ ეკონომიურადაც წელში გამართა მრავალი ომით დაუძლურებული ქვეყანა. ყოველივე ამან კი ხელი შეუწყო ჩვენში ხელოვნებისა და მწერლობის განვითარებას. ამ ეპოქის უბრწყინვალესი ძეგლი, ბაგრატის შესანიშნავი ტაძარი ქუთაისში ნათელყოფს არა მარტო დიდ მატერიალურ დოვლათს იმდროინდელ საქართველოში, არამედ, რაც მთავარია, მდიდარ ფანტაზიას, მაღალ მხატვრულ გემოვნებასა და დიდ შემოქმედებით უნარს. საქართველოს ეკონომიური ძლიერების მაუწყებელია ისიც, რომ XI—XII სს. ქართველი მოღვაწეები ახერხებენ საქართველოს ფარგლებს გარეთ, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე არა ერთი და ორი ეკლესია-მონასტრების შენებას, რომელნიც იქცნენ ქართული კულტურის დიდ კერებად. ამ მონასტერთა წყალობით საქართველო ეზიარა იმდროინდელი მსოფლიოს მოწინავე ცივილიზაციას, ამასთანავე ქართველი მოღვაწეები, კმნიდნენ რა საკუთარ მაღალმხატვრულ და ღრმამეცნიერულ ძეგლებს, ამავე მონასტრების საშუალებით, ამ ორიგინალურ მწერლობას უთარგმნიდნენ და აცნობდნენ თანამედროვე მსოფლიოს. აღნიშნული ეპოქის კულტურის კერათა შორის უპირველესად უნდა დავასახელოთ ათონის დიდი ქართული სკოლა, რომლის ზღაპრული ენერგიისა და დიდი პატრიოტული გზნების მქონე მოღვაწეთა წყალობით ქართველები ეზიარენ იმდროინდელ მსოფლიო კულტურას. ათონელ მოღვაწეთა საშუალებით ქართულად თარგმნილი იქნა თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად

⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე. 1948, გვ. 130.

მნიშვნელოვანი წიგნი, რომლითაც იკვებებოდა იმდროინდელი ცივილიზაცია. საოცრად დიდი მასშტაბის მთარგმნელობითმა მოღვაწეობამ, ამ ერთგვარად „შავმა მუშაობამ“ მოამზადა ნიადაგი დიდი ორიგინალური კულტურის შექმნისათვის. თარგმანების წყალობით ქართველ კაცს მიეცა საშუალება გარკვეულიყო ცოდნის სხვადასხვა სფეროში, გამდიდრდა ქართული ენა, დაიხვეწა და გამრავლდა მეცნიერული ტერმინები და ყოველივე ეს ერთგვარი წინა საფეხური იყო მდიდარი ეროვნული კულტურის შექმნისათვის. ათონისავე მონასტერში უამრავი ნათარგმნი ძეგლის გვერდით გაჩნდა ქართული ორიგინალური მწერლობის შესანიშნავი ნიმუშები.

ასევე დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი მწერლობის განვითარებაში სირია-პალესტინის ქართულმა მონასტრებმა, რომელთა კედლებში გაჩაღებულმა ინტენსიურმა მეცნიერულმა მოღვაწეობამ უაღრესად გაამდიდრა ჩვენი ეროვნული კულტურა. ფასდაუდებელია ჯერ მარტო ეფრემ მცირის მეტად მრავალფეროვანი და განსაკვიფრებლად ნაყოფიერი მოღვაწეობა. ხშირად თაობათა მანძილზე არ კეთდება ისე ბევრი საქმე, რაც ამ ერთმა ადამიანმა შესძლო. არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ ქართული მეცნიერება სათავეს ეფრემ მცირედან იღებს, რადგან ის თვით იყო ცოცხალი აკადემია. განუზომელი და სამწუხაროდ დღესდღეობით სათანადოდ შეუსწავლელი და შეუფასებელია მისი ღვაწლი ქართული მეცნიერების განვითარებაში.

ქართული კულტურის საზღვარგარეთული ცენტრების უაღრესად დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, ქართული მწერლობის განვითარების ძირითადი ძარღვი მაინც თვით საქართველოში იყო. ქართულ სინამდვილესთან უშუალო კავშირმა განაპირობა უპირველეს ყოვლისა ეროვნული ლიტერატურის განვითარება გ. მთაწმინდელისა და გ. მცირის ნაწარმოებებთან ერთად, უპირველესად ბასილ ზარზმელისა და გ. მერჩულეს თხზულებებში აისახა ქართული სინამდვილე.

X—XI სს. მწერლობამ განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია. მწერლობაში რელიგიური თემებისა და მოტივების გვერდით თავი იჩინა მწვავე სოციალური პრობლემების გაშუქებამ, ღრმა პატრიოტულ მიზანდასახულებასთან ერთად მწერლობაში გამოვლინდა ფაქიზი ინტიმური გრძნობები, ფართოდ აისახა იმდროინდელი ქართული სინამდვილე. აგიოგრაფები და ჰიმნოგრაფები უპასუხებენ ცხოვრების მიერ დასმულ საჭირობოროტო საკი-

თხეზე. მათ ნაწარმოებთა იდეური შინაარსი გაღრმავდა და გაფართოვდა ეროვნულ პრობლემებთან დაკავშირებით. სამწერლობო ენა უაღრესად განვითარდა და დაიხვეწა. ქართულმა მწერლობამ X—XI სს. განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია. ქართველი აგიოგრაფები ქმნიან სრულფასოვან, მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს, რომელთა იდეურ-შინაარსობრივი სიღრმე და მხატვრული გამოსახვითი ხერხების დიდოსტატობა ხიბლავს თანამედროვე მკითხველს. ხოლო ჰიმნოგრაფიამ X საუკუნიდან ისეთს სრულყოფას მიაღწია, რომ ქართველ ჰიმნოგრაფთა ნაწარმოებები საპატიო ადგილს იკავებენ მსოფლიო ჰიმნოგრაფიაში. როგორც აკად. კ. კეკელიძე წერს: „თავის განვითარების კულმინაციურ პუნქტზე ქართული ჰიმნოგრაფია შემდგარა მეათე საუკუნის მეორე ნახევარში“⁶.

ქართული ორიგინალური მწერლობის განვითარებამ X—XI სს-ში თავი იჩინა ეანრობრივ მრავალფეროვნებაშიც. შესანიშნავი აგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული ძეგლების გვერდით გაჩნდა ასევე მაღალმხატვრული ჰომილეტიკური თხზულებები.

ქართული ჰომილეტიკის ჩანასახების სათავეებს ჯერ კიდევ VI ს-ში ვხედავთ, ხოლო იოანე საბანიძის „აბო თბილელის წამებაში“ ერთ-ერთი თავი წარმოადგენს შესხმის ბრწყინვალე ნიმუშს⁷. X—XI ს-მდე ჰომილეტიკის ცალკეული ნიმუშები, მიუხედავად თავიანთი მაღალმხატვრული ღირსებისა, ნაწყვეტების, ფრაგმენტების სახით გვხვდება ამა თუ იმ აგიოგრაფიულ ძეგლში, როგორც ერთი გარკვეული და მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი აგიოგრაფიული თხზულებებისა, მაგრამ ცალკე, დამოუკიდებელი სახით, როგორც თავისთავადი ლიტერატურული ეანრი, ქართული ჰომილეტიკა, ჩამოყალიბდა X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისში ი. ბოლნელის შესანიშნავი თხზულებების სახით.

იოანე ბოლნელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დღესდღეობით მეცნიერებას ხელთ უკიდურესად ღარიბი ცნობები მოეპოვება.

⁶ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 567.

⁷ ქართული მკვერმეტყველებისა და კერძოდ ჰომილეტიკის ისტორია განხილული აქვს აკად. კ. კეკელიძეს, საგანგებოდ კი, აღნიშნულ საკითხს ეხება ნ. კანღელაძის წიგნში—„ქართული კლასიკური მკვერმეტყველება“, ამიტომ ამ საკითხზე აქ აღარ შევჩერდებით.

მკვლევარი პ. ინგოროყვა ვარაუდობდა, რომ „ი. ბოლნელი. IX საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა“⁸. მაგრამ ამ დროის ისტორიულ წყაროებში ი. ბოლნელის სახელი არსად არ გვხვდება, ხოლო X ს. ბოლოსა და XI ს. დასაწყისში აქა-იქ გვხვდება ფრაგმენტული ცნობები ბოლნელის შესახებ. მიუხედავად მცირე ცნობებისა აკად. კ. კეკელიძე ახერხებს წარმოგვიდგინოს ი. ბოლნელის ბიოგრაფიის ზოგადი ქარგა. კერძოდ მისი ვარაუდით: „ი. ბოლნელი და იოანე ხახულელი ერთი და იგივე პირია, რომელიც წინათ ბოლნისის ეპისკოპოსად ყოფილა, მერე ხახულის კათედრა მიუღია და 1019 წლის მახლობლად კათედრისათვის თავი დაუწებებია და ათონზე გადასახლებულა“⁹.

ექვთიმესა და იოანეს „ცხოვრებაში“ შემონახულია შემდეგი მეტად საინტერესო ცნობა—ათონზე ექვთიმესთან სამოღვაწეოდ მივიდნენ: „იოვანე გრძელის ძე და არსენი ეპისკოპოსი ნინოწმიდელი და ღირსი იოანე ხახულელი და ოქროპირი და სხუანი მობაძვანი მათნი, და მერმე ნეტარი ბერი გრიგოლ, ახალი აბრაჰამ სტუმრის მოყვარე და...“¹⁰ ჩვენი აზრით, აღნიშნულ ციტატაში ერთმანეთისაგან გამიჯნულია იოანე ხახულელი და ოქროპირი. ამ ცნობის მიხედვით ისინი სხვადასხვა პირნი უნდა იყვნენ, „ოქროპირი“ არ არის ეპიტეტი იოანე ხახულელისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შორის არ იქნება კავშირი „და“; ეს უკანასკნელი კი მოწმობს, რომ „ოქროპირი“ სხვაა და იოანე ხახულელი სხვა. იმავე ციტატაში, სადაც მსაზღვრელები უკავშირდებიან საზღვრულს, იქ „და“ კავშირი არაა გამოყენებული: „ბერი გრიგოლ, ახალი აბრაჰამ სტუმართ-მოყუარე“ ე. ი. „აბრაჰამ სტუმართ-მოყვარე“ არის ეპიტეტი „ბერი გრიგოლის“, ხოლო რომ იყოს „ბერი გრიგოლი და ახალი აბრაჰამ სტუმართ-მოყუარე“ მაშინ „ბერი გრიგოლ“-ი და „ახალი აბრაჰამ სტუმართ-მოყუარე“ სხვადასხვა პირები იქნებიან; ასევეა „იოანე ხახულელი და ოქროპირი“, ამიტომ ჩვენი აზრით აქ ორი სხვადასხვა პირი უნდა ვიგულისხმოთ და არა ისე, თითქოს ამ შემთხვევაში „ოქროპირი“ ეპიტეტი იყოს „იოანე ხახულელისა“, ასე რომ ათონზე სხვებთან ერთად მოსულან იოანე ხახულელი და ოქროპირი. ახლა ვინ არის ეს „ოქროპირი“?

⁸ პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა. „მნათობი“, 1939, № 9, გვ. 140.

⁹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I. 1951, გვ. 161.

¹⁰ „ათონის კრებული“, 1901, გვ. 62.

იმავე პერიოდის ერთ-ერთ ძეგლში ვკითხულობთ „მოიხსენეთ წმ. ლოცვასა თქვენსა ბერი იოანე გრძელიძის ძე და იოანე ოქროპირი...“¹¹ ე. ი. ოქროპირს რქმევია იოანე. საგულისხმოა, რომ ეს იოანე ოქროპირი იხსენიება იმავე იოანე გრძელიძესთან ერთად, როძელსაც ვხვდებით „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში“. ასე რომ ამ ნაწარმოებში მოხსენებული ოქროპირის სახელი არის იოანე, მაგრამ ეს იოანე ოქროპირი, როგორც აღვნიშნეთ, არ უნდა იყოს იოანე ხახულელი. მაშ ვინ შეიძლება იყოს!?

ჩვენი ფიქრით, სარწმუნოა აკად. კ. კეკელიძის ვარაუდი, რომ ეს იოანე ოქროპირი არის იოანე ბოლნელი: „იოანე ბოლნელი შესანიშნავი მქადაგებელი ყოფილა, მას შეშვენის სახელი ოქროპირი“¹².

ამრიგად, იოანე ბოლნელი და ათონზე მოღვაწე იოანე ოქროპირი ერთი და იგივე პირი უნდა იყოს, ხოლო იოანე ხახულელი კი, ზემოთ მოყვანილი ცნობის მიხედვით, სხვა პიროვნებაა და არა იოანე ბოლნელი, თუმცა მასაც უწოდებდნენ „ოქროპირს“, ისევე როგორც ექვთიმე ათონელსა და ბევრ სხვა ცნობილ მოღვაწეს.

ჩვენს მოსაზრებას მხარს უჭერს ანტონ I ცნობებიც: ანტონი ი. ბოლნელისადმი მიძღვნილ ჰიმნში ხაზგასმით მიგვანიშნებს ბოლნელის „მონაზონურ“ ცხოვრებაზე:

„იოანესა ბრძენსა, ფილოსოფოსსა,
კაცსა მდიდარსა, აღძრცულ ღუთის-მეტყუშლებით,
სიტყუს მოქმედსა და ჰსწავლათა განმფენსა,
მონაზონებრთა, ქცევათა შინა დიდსა,
ეშესაბამვის ქება მმწყემსებრივ“¹³.

აქ შემთხვევითი არ უნდა იყოს „მონაზონებრივ ქცევაზე“ საუბარი. ჩვენი აზრით, შეიძლება იგულისხმებოდეს სწორედ ათონზე მონაზონებრივი ცხოვრება. იგივე ანტონი სხვადასხვა პიროვნებებად მიიჩნევს ი. ბოლნელსა და ი. ხახულელს, ამიტომ მათ ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ჰიმნს უძღვნის. კერძოდ, ხახულელისადმი მიძღვნილ ჰიმნში სწორედ „ხახულს აღმომზეობაზე“ არის საუბარი და იქ მინიშნებაც არ არის ბოლნელობაზე. ასე რომ ანტონის ხელთ არსებული ცნობების მიხედვითაც იოანე ხახულელი

¹¹ თ. ეთრდანიძე, ქრონიკები, 1892, წიგ. 2, გვ. 166.

¹² კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 161.

¹³ ანტონი, წყობილსიტყვაობა, 1853, სტ. 671.

და იოანე ბოლნელი სხვადასხვა პიროვნებებია, ამიტომ თითო-
ეულ მათგანს ცალ-ცალკე უძღვნა ჰიმნი.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ესა თუ ის საეკლესიო პირი, მიუხედავად იმისა, რომ მოღვაწეობას სხვადასხვა ეკლესია-მონასტრებში ეწეოდა, სახელს მაინც ინარჩუნებდა იმ ეკლესიასა თუ მონასტერთან დაკავშირებით, სადაც მას განსაკუთრებული ღვაწლი ჰქონდა. საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრების პრაქტიკაში არ გვხვდება, რომ მავან მოღვაწეს ერთი ეპითეტო შეცვლოდეს იმის გამო, რომ ის სხვა მონასტერში გადავიდა სამოღვაწეოდ. მაგალითად გ. ხანძთელის ღვაწლი განუზომელია როგორც შატბერდში, ისე სხვა მონასტერთა მიმართ, მაგრამ გრიგოლის ეპითეტად ყველგან დარჩა ხანძთელი, ასევე სხვა მოღვაწეების ეპითეტებიც.

აქედან გამომდინარე, საეჭვოა, რომ იოანეს ზედწოდება „ბოლნელი“ შეცვლოდეს იმის გამო, თუ ის ხახულში გადავიდოდა. ის ფაქტი, რომ იოანე ბოლნელის ქადაგებები შენახულია ათონის ივერიის მონასტრის ხელნაწერებში, აკად. კ. კეკელიძეს სამართლიანად მიაჩნია იმის ერთ-ერთ დამატებით საბუთად, რომ ი. ბოლნელი სამოღვაწეოდ ათონზე გადავიდა.

რაც შეეხება იმას, რომ ბოლნისში ნაპოვნი იქნა ი. ბოლნელის საფლავის ქვის წარწერა, მიგვითითებს იმაზე, რომ ი. ბოლნელი სიცოცხლის ბოლო წლებში დაბრუნებულია თავის მშობლიურ ბოლნისში და იქ გარდაცვლილა.

ამრიგად, ი. ბოლნელის ცხოვრების გზა ზოგადად ასე გვაქვს წარმოდგენილი: ი. ბოლნელმა მოღვაწეობა დაიწყო ბოლნისის დიდ ტაძარში, თავისი შესანიშნავი ქადაგებებით სახელი მოიხვეჭა და ეპისკოპოსადაც აკურთხეს, ხოლო შემდეგ სამოღვაწეოდ წავიდა ათონის სახელგანთქმულ მონასტერში და ექვთიმესთან საკმაო ხანის თანამშრომლობის შემდეგ კვლავ დაბრუნდა ბოლნისში და იქ გარდაიცვალა. იოანე ხახულელი კი არ უნდა იყოს იგივე იოანე ბოლნელი.

•

მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ქართული ლიტერატურა ჟანრობრივი მრავალფეროვნებით ხასიათდება. ძველმა ქართულმა მწერლობამ განვითარების მაღალი დონე გამოაქვლინა არა მარტო ორიგინალურ ჰიმნოგრაფიასა და ჰაგიოგრაფიაში, არამედ ჰომილეტიკაშიაც. ჰომილეტიკა ადრეული პერიოდის ქართული მწერლობის ერთ-ერთ წამყვან ჟანრად იქცა. ჩვენში, ისე როგორც საერთოდ ქრისტიანულ მწერლობაში, ორატორული ხელოვნების ამ

ერთ-ერთ დარგს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ქრისტიანული მკვერმეტყველება მიზნად ისახავდა არა მარტო ვიწრო თეოლოგიური საკითხების გარკვევასა და პოპულარიზაციას, არამედ თანამედროვეთა საქირბოროტო საკითხების გადაწყვეტას, ეროვნულ, სოციალურ თუ ეთიკურ პრობლემათა გადაჭრას. ამიტომ ჰომილეთიკის დარგში თავი იჩინეს იმ ადამიანებმა, რომელთაც აზროვნების სიღრმესთან ერთად გააჩნდათ მკვერმეტყველური ხელოვნების დიდი ნიჭი.

ჰომილეთიკურ ანუ ქრისტიანულ მკვერმეტყველებას გააჩნია რა თავისი საგანი და მიზანი, ამავე დროს იგი ძირითადადში ეყრდნობა და იყენებს ორატორული ხელოვნების მთავარ ხერხებსა და წესებს. ქრისტიანულმა კულტურამ ანტიკური ცივილიზაციიდან ბევრი რამ აითვისა და მათ შორის ანტიკური ორატორული ხელოვნება სათავედ დაედო ქრისტიანულ ჰომილეთიკას. შემთხვევითი არაა, რომ ჰომილეთიკის უდიდესი წარმომადგენლები ი. ოქროპირი, ბასილ დიდი, გრიგოლ ნაზიანელი წარმართი ბერძენი ლიბანიოსის მოწაფეები არიან. ცნობილია, თუ როგორი გულისხმიერებით ისმენდა და ითვისებდა ი. ოქროპირი ლიბანიოსის ლექციებს ორატორული ხელოვნების შესახებ. ასევე ცნობილია, თუ როგორი გულმოდგინებით სწავლობდნენ ი. ოქროპირი და მისი მომდევნო გვიანი პერიოდის მქადაგებლები არისტოტელესა და კვინტილიანეს მოძღვრებას ორატორული ხელოვნების შესახებ და, მეორე მხრივ, დემოსთენისა და ციცერონის ორატორული შედევრების შესწავლისა და ანალიზის შედეგად ქმნიდნენ საკუთარ, ორიგინალურ მკვერმეტყველობითს ძეგლებს. ჰომილეთებს გარკვეული თვალსაზრისით ორგანიზული კავშირი აქვთ ანტიკური ეპოქის ორატორებთან და ამიტომ ჰომილეთიკის ხასიათის გარკვევისათვის აუცილებელია ორატორული ხელოვნების სპეციფიკისა და ბუნების გათვალისწინება, მისი ნიშანდობლივი თვისებების ჩამოყალიბება ზოგადად, რადგანაც ამ უკანასკნელთან გენეტიკურ კავშირში იმყოფება ჰომილეთიკური მწერლობა.

ორატორული ხელოვნების ანტიკური თეორეტიკოსები, ისევე როგორც თვით ორატორები, მკვერმეტყველებაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ წარმოთქმული სიტყვის შინაარსობრივ მხარეს. პლატონი „გორგიაში“* კიცხავს ორატორული ხელოვნების იმ გაგებას, რომლის მიხედვით მთავარია გარეგნული მხატვრობა სიტყვისა, რომელიც არ უპასუხებს საქმის არსს და მხედველობიდან ეპარება მთავარი და არსებითი. ასევე ფენელონი თავის „დიალო-

* П л а т о н, Сочинение СПб, 1863.

გებში მკვერმეტყველობის შესახებ“, არკვევს რა მკვერმეტყველების არსებით წესებს, უპირველესად კიცხავს იმ ზერელე შეხედულებას, რომელიც ორატორი ხედავს ადამიანს მოლაპარაკეს ლამაზად და კობტად. გარეგნული სილამაზე, რომელიც ასე ატყვევებს ზოგიერთს, თავისთავად არაფრის შემცველია. ასეთი გაგებით მკვერმეტყველება არ არის სერიოზული საქმე; ის აღარაა საქმე, რომელიც მიმართულია პრაქტიკული ამოცანებისაკენ და ეს უკანასკნელი კი შეადგენს მის არსებით დანიშნულებას. ფუჭია მკვერმეტყველება თუ ის ექსახურება მხოლოდ სიამოვნებას, წსმენელთა ყურის გასართობლად და საალერსოდ. ციცერონის მეხედულებითაც, ორატორის მთავარი მოვალეობაა დამოძღვრება, შთაგონება, სწავლა. დანარჩენი ფუნქცია მეორეხარისხოვანია.

ძველი ორატორები მიუთითებენ ორატორის სამ მოვალეობაზე: docere, delectare, movere—ასწავლე, მოეწონე, ააღელვე. პვენიცკის მოსაზრებით ორატორულ ხელოვნებას უნდა ახასიათებდეს შემდეგი ოთხი ნიშანი¹⁴:

1. იმისათვის რომ ჩვეულებრივი მეტყველება ამაღლდეს ორატორულ მეტყველებამდე, უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რათა ორატორი ადამიანი იყოს აღვზნებულ მდგომარეობაში. ეს აღვზნება შეიძლება გამოწვეული იყოს საშიშროების, ცდუნების, პიროვნების ან საზოგადოების დაღუპვის წარმოდგენით, ან სასიხარულო მოვლენის, ზეიმის წარმოდგენით. ორატორობის წყარო არის ადამიანის შინაგანი შთაგონება.

2. ორატორი უნდა წარდგეს ხალხის წინაშე. აქედან საზოგადოებრივი და საჯარო ხასიათი მკვერმეტყველებისა.

3. ორატორმა უნდა გადასცეს მსმენელებს მოცემულ შემთხვევაში განსაკუთრებულად მათთვის საჭირო, სასარგებლო, აუცილებელი რამ. აქედან ცოცხალი, საზოგადოებრივი ინტერესი. საგნის ანუ თემის აქტუალობა.

4. ორატორს უნდა ჰქონდეს მხედველობაში გარკვეული მიზანი, რომლისაკენ მიისწრაფვის ის, და რომლისაკენ უნდა წარმართოს მსმენელები. ორატორისათვის მთავარია დაარწმუნოს, მაგრამ არა უბრალოდ დაარწმუნოს რამეში, არამედ დაარწმუნოს მნიშვნელოვანი და მხსნელი საქმის შესრულებაში, წარმართოს მსმენელი გამოსწორებისაკენ, ან დაიცვას რაიმე საშიშროებისაგან ან მავნე განზრახვისაგან. განაწყოს სიკეთისათვის, რომელიც არ გააჩნია საზოგადოებას და

¹⁴ Певницкий В. Ф., Церковное красноречие и его основные законы, 1908, გვ. 11.

რომელსაც ხედავს ორატორი და რომლის დაკარგვის საშიშროებაა. სიკეთისა და საზოგადოებრივი ბედნიერებისათვის ზრუნვა უნდა ამოძრავებდეს ორატორს, მხოლოდ ამ მიზნით გამსჭვალული ორატორი შესცლებს მსმენელთა ნების წარმართვას. უპირველეს ყოვლისა თვით ორატორი უნდა იყოს დახვეწილი პიროვნება. კვინტილიანი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ კეთილ და ზნეობრივ ადამიანს შეუძლია იყოს ქეშმარიტი ორატორიო.

ორატორი მაშინ აკმაყოფილებს ზნეობრივ მოთხოვნილებებს, როდესაც მიზანი აჰყავს ერთ იმ იდეამდე, რომელსაც აღიარებს და სურს აღიაროს და მოიყვანოს მოქმედებაში მისმა მსმენელმა. ამასთანავე მსმენელი თავისუფლებას, დამოუკიდებლობას არ კარგავს და ერთგვარი წაბიძგებით ასრულებს მხოლოდ მას, რის შესრულებაც უნდოდა თავისი შინაგანი მოთხოვნილებით.

იდეა, რომელსაც ორატორი ცდილობს აქციოს საქმედ, უნდა იქნეს აყვანილი მსმენელთა აუცილებელ იდეამდე. ორატორში ცოცხალი და ძლიერი უნდა იყოს ზნეობრივი იდეა, და მისით შთაგონებულმა ეს ძალა უნდა გააცოცხლოს მსმენელთა შეგნებაში და აღაგზნოს ისინი დამოუკიდებელი მოღვაწეობისათვის. ტერემინის¹⁶ მოსაზრებით, ზნეობრივ-პრაქტიკულ მოღვაწეობას საფუძვლად უდევს ერთი უმაღლესი წესი, რომელიც მოიცავს სამ მთავარ იდეას: მოვალეობას, ქველმოქმედებას, ბედნიერებას.

ორატორულ შთაგონებას საფუძვლად უნდა ედევას ზნეობრივი იდეა, იდეა სიკეთისა და მით უნდა ხელმძღვანელობდეს ორატორი თავისი მსჯელობისას, რა არის აუცილებელი ხალხისათვის ან მსმენელთა გარკვეული წრისათვის, რაა მისთვის სასარგებლო და მხსნელი, რომლის გარეშე მას ელის სამიშროება და ტანჯვა— აი მხოლოდ ამაში უნდა პოულობდეს ორატორი წყაროს თავისი შთაგონებისას, მხოლოდ ამას შეუძლია მისცეს მნიშვნელობა და წონა ორატორის სიტყვას მსმენელთა თვალში და ისტორიის სამსჯავროს წინაშე.

ორატორი მრავალმხრივ განსწავლული უნდა იყოს. პლატონი „ფედრაში“* მოითხოვს ორატორისაგან ფილოსოფოსობას და ჩამოთვლის საგნებს, რომელთა ცოდნა აუცილებლად მიაჩნია. მან უპირველესად უნდა იცოდეს ადამიანი და ყოველივე ფსიქოლოგიის სფეროში, ქვეყნის წესები და ჩვევები, ყოველი ფენის ზნე, აღზრდის საშუალებანი.

¹⁶ Th erem in. Die Redsamkeit, 1910.

* П л а т о н, Сочинение, 1863.

მაღალ ზნეობრივ ადამიანს ამოქმედებს მხოლოდ ხალხისადმი სიკეთე, შთაგონება, რომელიც აღელვებს და აღაგზნებს ორატორს, არ შეიძლება არ გამოვლინდეს მის წარმოთქმაში: ის აძლევს ორატორს ძალასა და გამომხატველობას. როდესაც ორატორი ძლიერ არის აღგზნებული, მაშინ ის თავის საქმის შესახებ ვერ ილაპარაკებს დუნედ და ცივად. შთაგონებით გამოწვეული აღგზნება იწვევს ენერგიულ წარმოთქმას და თავისი ამალღებული მეტყველებით ერთგვარად მუხტავს მსმენელებს. პლატონი იმავე „გორგიაში“ აღნიშნავს, რომ ორატორული მეტყველება მით უფრო მჭევრმეტყველურია, რამდენადაც მსმენელთა სული მოჰყავს მოძრაობაში. თვით ციცერონი, რომელსაც ორატორის მთავარ ღირსებად მიანდა დამოძღვრება, სწავლა, თხზულებაში: „ბრუტი ან დიდებულ ორატორთა შესახებ“ წერდა: ვინც არ აღიარებს, რომ ორატორის ყველა ღირსებათა შორის, ყველაზე დიდი ღირსებაა—აღაგზნო მსმენელთა სული და წარმართო ის იქეთ, საითაც მოითხოვს საქმე, და ვისაც არა აქვს ეს ნიჭი, მას აკლია მთავარი ორატორულ ხელოვნებაში. რიტორიკის ორჯერ წიგნებში იყო ტრაქტატი ვნებების შესახებ, რადგანაც ეს უმნიშვნელოვანეს ფაქტორად იყო მიჩნეული.

ორატორის ასეთი აღგზნებული მდგომარეობის გამოსახატავად ბერძნებს ჰქონდათ სიტყვა *πᾶσις*—(პათოსი) და ასეთ სიტყვას უწოდებდნენ პათეთიკურს. პათოსის გარეშე წარმოუდგენელია ორატორული მეტყველება; რადგანაც მხოლოდ პათეთიკურ სიტყვას შეუძლია აღაგზნოს მკითხველი, ხოლო აღგზნების პირობად ანტიკური დროის მოაზროვნენი აუცილებლად მიიჩნევენ სტილის საკითხის მოწესრიგებას. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ არისტოტელე რიტორიკულ ხელოვნებასთან დაკავშირებით საგანგებოდ ლაპარაკობს სტილზე. სტილის ღირსება მისი რწმენით მდგომარეობს სინათლეში; ამის დამამტკიცებელია ის, რომ როდესაც მეტყველება არაა ნათელი, ის ვერ აღწევს მიზანს. სტილი არ უნდა იყოს არც მეტად ამალღებული, არამედ უნდა შეესატყვისებოდეს მეტყველების საგანს, სახელთა და ზმნათაგან მეტყველებას ნათელს ხდიან ისინი, რომელნიც შევიდნენ საერთო ხმარებაში.

არისტოტელე ბერძნული ენის სპეციფიკის ცოდნის საფუძველზე აყალიბებს ხუთ პრინციპს, რომელთა დაცვა განსაზღვრავს ბერძნულად მეტყველი კაცის სტილის სიაყვარგეს. ესენია:

1. პირველი პირობა, ნაწილების (ართრონის) სწორედ ხმარება, განლაგება.

2. მეორე—საგანთა ზუსტი აღნიშვნა და არა აღწერითი გამოთქმა.

3. მესამე—არ უნდა ვიხმაროთ ორაზროვანი გამოთქმა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას განზრახ ვაკეთებთ.

4. მეოთხე—სქესის ზუსტად ხმარება (როგორც ეს პროტაგორს აქვს დაყოფილი: მამრობითი, მდედრობითი, საშუალო).

5. დავიცვათ შეთანხმება რიცხვში.

ყოველივე ეს ნიშნავს ეროვნული ენის ბუნებიდან გამომდინარე წესების დაცვას, ე. ი. ორატორმა უნდა იცოდეს ეროვნული ენის ნიშანდობლური თვისებები.

არისტოტელეს მიხედვით, სტილს განსაზღვრავს თვით სიტყვის (реч) ხასიათი, შინაარსი. სტილი უნდა შეესატყვისებოდეს გამოსახატავ საგანს. ეს შესატყვისობა დაცულია იმ შემთხვევაში, როცა მნიშვნელოვანი საგნის შესახებ არაა საუბარი მსუბუქად, ზერელედ და უმნიშვნელოს შესახებ არა ვსაუბრობთ საზეიმოდ, ამალლებულად და როდესაც უბრალო სიტყვებს არ ვუმატებთ შემაძკებელ ეპითეტებს, წინააღმდეგ შემთხვევაში სტილი ხდება კომიკური.

მსმენელი მუდამ უთანაგრძნობს გრძნობით მეტყველ ორატორს, იმ შემთხვევაშიაც თუ ის არაფერს საფუძვლიანს არ ლაპარაკობს.

სტილის გამართვაში არისტოტელე დიდ ყურადღებას აქცევს რიტმს, მისი სიტყვებით, რიტმს მოკლებულ სტილს აქვს დაუმთავრებელი სახე და უნდა ვეცადოთ რომ მას მივცეთ დასრულებული სახე, რადგანაც ყოველივე დაუსრულებელი, დაუმთავრებელი უსიამოვნოა (გავიხსენოთ, რომ სილამაზის ერთ-ერთ პირობად არისტოტელე მიიჩნევდა დასრულებითობას). სიტყვა (реч) არ უნდა იყოს თავიდან ბოლომდე მკაცრად რიტმული, თორემ ის ერთფეროვანი იქნება და მოადუნებს მსმენელს. საყურადღებოა აგრეთვე შენიღბი დაკვირვება: არისტოტელე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პერიოდის სისრულეს. მისი აზრით, პერიოდი უნდა შეიცავდეს დასრულებულ აზრს და არ უნდა იყოს დაწყვეტილი.

პერიოდი შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე კოლონისაგან ან იყოს უბრალო. პერიოდი, რომელიც შედგება რამდენიმე კოლონისაგან. არის დასრულებული პერიოდი, რომელსაც აქვს დანაყოფები და წარმოითქმებიან ერთი აზოსუნთქვით არა ცალცალკე. არც კოლონები, არც თვით პერიოდი არ უნდა იყოს დამოკლებული და არც მეტად გრძელი, რადგანაც მოკლე ფრაზა ხშირად წააბორძიკებს მსმენელს: მართლაც, როდესაც მსმენელი მი-

ისწრაფვის ზღვარამდე, რომელზედაც მას აქვს წარმოდგენა, მეტყველების შეწყვეტის შედეგად იგი უცბად უნდა გაჩერდეს და ეს ისეთი გრცნობაა, თითქოს წაიბოროძიკა დაბრკოლების შედეგად. ხოლო ზომაზე გრძელი პერიოდები აიძულებენ მსმენელს ჩამორჩენ. ასეთი გრძელი პერიოდები თვით იქცევა სიტყვად და ურთიერთდაკავშირება და ათვისება ძნელია.

რამდენიმე კოლონისაგან შემდგარი პერიოდი, არისტოტელეს დაკვირვებით, არის დაყოფითი და ანტიათეტიური. ასეთი ხერხი გამოსახვისა სასიამოვნოა, რადგანაც დააირისპირებები მეტად ადვილი გასაგებია, და თუ ისინი ურთიერთის გვერდითაა, მაშინ მით უფრო ადვილგასაგებია აგრეთვე იმატომ, რომ ასეთი ხერხი გამოსახვისა გავს სილოგიზმს, რამეთუ მტკიცება არის წინადადებათა დაპირისპირება.

ამრიგად, არისტოტელეს აზრით, მიმზიდველი მეტყველების აუცილებელი პირობაა დაპირისპირება, ამ უკანასკნელთან ერთად არა ნაკლებ ყურადღებას აქცევს არისტოტელე თვალნათლივობას (наглядность). თვალნათლად წარმოგვიდგებიან ისინი, რომელთაც ასახავენ მოქმედებაში. მოქმედებითობა, დინამიურობა თვალნათლივობის ერთ-ერთი პირობაა.

ხშირად სიტყვათა განლაგება, სიტყვის მობრუნება იმ შემთხვევაში არის მიმზიდველი, როდესაც საქმე გვაქვს მოულოდნელობასთან, მსმენელის ერთგვარად მოტყუებასთან. აზრი უნდა იყოს მოულოდნელი, არ ეთანხმებოდეს ადრე ჩამოყალიბებულ ძეხედულებას, ამით იქმნება ეფექტურობა. ამას ვამჩნევთ ლექსშიაც, როდესაც ის მთავრდება არა ისე, როგორაც ვარაუდობდა მსმენელი. სანიმუშოდ მოჰყავს ერთი ნაწყვეტი: „Она была, и мер на ногах отморозилие места“. მსმენელი ვარაუდობდა, რომ ნათქვამი იქნებოდა „სანდლები“ და არა „გაყინული ადგილები“. ასეთი მობრუნება წარმოთქმისთანავე მსწრაფლ გასაგები ხდება.

არისტოტელე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სიტყვის ყოველგვარ სახეობას თავისი სტილი გააჩნია, პოლემიკური სიტყვის სტილი განახვადდება პოლიტიკურისაგან, ხოლო ამ უკანასკნელისაგან — სასამართლოში წარმოთქმული სიტყვა. კამათის დროს წარმოთქმული სიტყვა აქტიორულია. ამ უკანასკნელი სტილის ორ სახეობას ასხვავებს არისტოტელე: ერთი გადმოცემს ხასიათს, შეორე — აფექტს. თუ შევადარებთ სიტყვებს დაწერილსა და ზეპირად წარმოთქმულს — ისინი აშკარად განსხვავდებიან. ზეპირად წარმოთქმული სიტყვის სცენიურობა იკარგება მისი კითხვისას. მაგ., ფრაზები, რო-

მელნიც დაკავშირებული არ არიან კავშირებით, ან ერთი და იგივე ხშირი გამეორება წერილობითში ეფექტს არ ქმნის, ხოლო ზეპირად—სხვა შედეგი აქვს. ერთისა და იმავეს გამეორებისას აუცილებელია ინტონაციის გამოცვლა, რაც წინამორბედიდან დეკლამაციისა. იგივე ითქმის კავშირების გარეშე დაკავშირებული ფრაზების შესახებ. მაგ., „მოვიდა, მებედა, ააატია“. ეს წინადადება უნდა წარმოითქვას დეკლამაციით და არა ერთნაირი გამოთქმით, ერთნაირი ხმით, როგორც რაღაც ერთიანი.

დასასრულს, არისტოტელეს სტილის ყველაზე დიდ ღირსებად მიაჩნია სინათლე. თუ სტილი მრავალსიტყვანია ან მეტად შეკუმშული, მაშინ ის ნათელი არაა; აშკარაა, რომ საჭიროა საშუალო. სტილი სასიამოვნოა, ასკვნის არისტოტელე, თუ მასში კარგადაა შეზავებული საყოველთაოდ გავრცელებული და იშვიათი სიტყვები, და თუ ორატორი ფლობს რიტმსა და დამარწმუნებლობას, დაფუძნებულს შესაბამისობაზე.

ორატორული ხელოვნება ანტიკურ ეპოქაში ერთ-ერთი წამყვანი სახე იყო სიტყვიერებისა და აზით აიხსნება, რომ მოცემულ ეპოქაში მან ძალაღებულ განვითარებას მიაღწია. იმდროინდელ მიაზროვნეთა მიერ მეტად დეტალურად არის შესწავლილი და დამუშავებული მჭევრმეტყველების ხასიათი, ბუნება, ხეობები, რომელთა დაწვრილებითი განაიღვა შორს წაგვიყვანდა და არც შეადგენს ჩვენს მიზანს. ხოლო საკითხის გარკვევისათვის საკმარისად მიგვაჩნია მჭევრმეტყველებითი ხელოვნების დიდი ოსტატისა და თეორეტიკოსის მარკ ტული ციკერონის შეხედულებათა ზოგადი მიმოხილვა.

დიდი რომაელი ორატორი ციკერონის სიტყვით მჭევრმეტყველია ის, ვინც ფორუმზე ან სამოქალაქო პროცესზე ილაპარაკებს ისე, რომ მიანიჭებს ტკბობას, დაიმორჩილებს მსმენელს.

ისევე როგორც ცხოვრებაში, მეტყველებაშიაც არაა არაფერი იმაზე ძნელი, რომ ხედავდე რა არის დროული. ბერძნები უწოდებენ მას *πρᾶσιον*, რომაელები—ტაქტს.

ქეშმარიტად მჭევრმეტყველია ის, ვისაც შეუძლია ჩვეულებრივი ამბის შესახებ ილაპარაკოს უბრალოდ, დიადის შესახებ—ამაღლებულად, საზუალოს შესახებ—საშუალო სტილით.

ციკერონის თქმით ცნობილია, რომ ორატორები ისევე როგორც პოეტები იყოფიან გვარებად. ვთქვათ ერთი ეპიური პოეტია, მეორე—ტრაგიკული, მესამე—კომიკური. მე კი არ ვყოფ ორატორებს გვარებად, რადგანაც ვეცებ სრულყოფილს. რადგან

ნაც საუკეთესო ორატორი იაა, რომელიც თავისი სიტყვებით მსმენელებს ასწავლის, გვრის სიამოვნებას და ახდენს მათზე დიდ შთაბეჭდილებას.

ასწავლო—ეს მოვალეობაა ორატორისა, მიჰგვაროს სიამოვნება—ეს პატივია, რომელსაც გაიღებ. მსმენელის მიმართ, ხოლო მოახდინო ძლიერი შთაბეჭდილება, ეს კი აუცილებელია.

მჭევრმეტყველების საფუძველთა საფუძვლად ციცერონს მიაჩნია, იმ ენის ღრმად და მთელი სიმდიდრით ცოდნა, რომელზედაც ლაპარაკობს ორატორი. კარგი მეტყველება გულისხმობს არა მარტო სიტყვათა მარაგის ცოდნასა და დროულ შერჩევას, დროის, ბრუნვის, რიცხვისა და საერთოდ, ფორმების დაცვას, არამედ მეტყველების ორგანოების კარგად წარმართვას—სუნთქვისა და ხმისა.

არ მომწონსო, ამბობს დიდი ორატორი, როდესაც ასოები წარმოითქმებიან მეტისმეტი ხაზგასმით, ასევე არ მომწონს, როდესაც მათი წარმოთქმა გაბუნდოვანებულია ზედმეტი დაუდევრობით. არ მომწონს, როცა სიტყვები წარმოითქმებიან სუსტი, მომაკვდავი ხმით, არ მომწონს აგრეთვე, როდესაც ისინი გაისმიან ხმაურით და ღრმა სუნთქვით. არსებითი მნიშვნელობა აქვს ორატორისათვის სიტყვის გრძნობას.

არისტოტელეს მსგავსად ციცერონიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რიტმულობას. კანონზომიერება დაცული უნდა იქნას არა მარტო ცალკეულ სიტყვათა განლაგებაში, არამედ პერიოდთა კიდურა წევრების განლაგებაშიც. მაგრამ დაბოლოებაში კანონზომიერება წარმოიქმნება ან სიტყვათა განლაგებით, ან სიტყვების გარკვეული ერთსახეობით; აქვთ თუ არა მათ ერთნაირი ბრუნვითი დაბოლოება, შეადგენენ თუ არა ერთსახეობრივ ცნებებს ან უპირისპირდებიან ერთნაირეთის საწინააღმდეგონი. ასეთი შეხამება უკვე თავისთავად იწვევს რიტმულობას.

რიტმულად მიიჩნევენ ყველა სიტყვას (բայ), რომელიც მიედინება სწორად და მდგარად, კოჭლობისა და მერყეობის გარეშე. რიტმულად ითვლება არა ისეთი ორატორული სიტყვა, რომელიც მთლიანად დაფუძნებულია რიტმზე, არამედ ის, რომელიც ყველაზე უფრო უახლოვდება რიტმს. ამიტომ პროზულად მეტყველება უფრო ძნელია, ვიდრე ლექსის წერა, რადგანაც ლექსში არის ცნობილი, ზუსტად ფორმულირებული წესი, რომლის დაცვა აუცილებელია; ორატორულ მეტყველებაში კი არაფერია წინასწარ დადგენილი, გარდა მოთხოვნილებისა, რომ ის არ იყოს უფორმო

ან მეტისმეტად შემჭიდროვებული, ან უწესრიგო, ანდა ერთფეროვნად მდინარე.

ხშირია კითხვა: პერიოდის მთელ მანძილზე უნდა იყოს დაცული ზომები, თუ მის დასაწყისსა ან ბოლო ნაწილში? უმეტესნი ფიქრობენ, რომ რიტმული უნდა იყოს მხოლოდ დასკვნითი ნაწილი, მხოლოდ ფრაზის დაბოლოება. ციცერონიც ადასტურებს, რომ სწორია, რიტმული უნდა იყოს უპირატესად ბოლო ნაწილი, მაგრამ არაა სწორი, რომ თითქოს მხოლოდ ბოლო ნაწილი უნდა იყოს რიტმული, რამეთუ პერიოდი უნდა იყოს მკაცრად განაწილებული, და არა უწესრიგოდ მიგდებული.

საყურადღებოა ციცერონის შენიშვნა იმის გამო, რომ რიტმული მეტყველება უნდა გამოვიყენოთ უპირატესად მაშინ, როდესაც რამეს ვაქებთ, განვადიდებთ, ან მაშინ, როდესაც სიტყვა საჭიროებს სახეიმო განწყობილებას, ვიდრე აფექტს. ასევე სიტყვის დასკვნითი ნაწილი იღებს რიტმულ ზომიერ დინებას, როდესაც მსმენელისაგან სრული მოწონებაა მიღწეული, როდესაც მსმენელი დატყვევებული ჰყავს ორატორს და ამ უკანასკნელზეა მინდობილი, მიჰყვება ბრმად, უნდა რომ სიტყვა გაგრძელდეს, რათა გაიგრძელოს ტკბობა, სიამოვნება.

როგორც ვხედავთ, ანტიკური ეპოქის მოაზროვნენი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ორატორულ ხელოვნებას. მქვერმეტყველებაში წამყვან ფაქტორად მიიჩნევენ ძინაარსს, ამავე დროს არანაკლები სერიოზულობით მსჯელობენ ფორმისეულ, გამოსახვით მხარეებზე. ჩვენი აზრით, ანტიკური ეპოქის მოაზროვნენი გაცილებით უფრო მართებულ თვალსაზრისს ავითარებდნენ მქვერმეტყველური ხელოვნების შესახებ, ვიდრე ასალი საუკუნეების უდიდესი ფილოსოფოსი ემანუილ კანტი, რომელიც მეტად უარყოფითად აფასებდა ორატორულ ხელოვნებას. უნდა გამოგიტყდეთ — წერს ე. კანტი—მშვენიერი ლექსი მე მუდამ მანიჭებს უძუალო სიამოვნებას, მაშინ, როდესაც კითხვა საუკეთესო სიტყვისა, რომელიც ეკუთვნის რომელიმე რომაელ სახალხო ორატორს, ან პარლამენტისა თუ ეკლესიის ორატორს, ჩემში მუდამ იწვევს უკმაყოფილების გრძნობას, როგორც ცბიერი ხელოვნება, რომელიც მნიშვნელოვანი ამბების დროს ახერხებს ადამიანების, როგორც მანქანების ამოძრავებას, და ისინი მიჰყავს ისეთ მსჯელობამდე, რომელიც მშვიდი განსჯისას დაკარგავდა ყოველგვარ წონას.

მქვერმეტყველება (*ars oratoria*), თავისი მიზნებისათვის სარგებლობს ადამიანთა სისუსტით და არ იმსახურებს არავითარ

პატივისცემას. ამიტომაც მან უმაღლეს განვითარებას მიაღწია როგორც ათინაში ისე რომში, მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფო გადაქანდა დაცემისაკენ და როდესაც ჩაქრა ქეამარიტი პატრიოტული განწყობილება¹⁶. რასაკვირველია, ეს მეტისმეტად მკაცრი, შეიძლება ითქვას, არც თუ სამართლიანი განაჩენია ორატორული ხელოვნების მიმართ. ორატორულმა ხელოვნებამ აზროვნების ისტორიაში, ავრეთვე მხატვრული სიტყვის განვითარებაში მეტად მნიშვნელოვანი როლი იქონია. ამჯერად იმიტომ შევჩერდით შედარებით ვრცლად ორატორულ ხელოვნებაზე, რომ საეკლესიო ქადაგებამ ბევრი რამ შეითვისა ანტიკური მქვერძეტყველებისაგან და, რაც მთავარია, თვით ქადაგებაც ახალი იდეური შინაარსით მოცული და ახალი მიზნით განსკვლავლი ორატორული ხელოვნებაა. მართებულად იქცევა ჰენიციკი, როდესაც ქადაგებას იხილავს ორი თვალსაზრისით.

1-я сторона ораторская,—как речь к народу, она является видом ораторских произведений и не может не подчиняться законам, обязательным для всякого рода ораторских произведений.

2-я сторона церковно-религиозная, по которой она является выполнением религиозного служения, возложенного господом на апостолов и их преемников, — продолжением и раскрытием Евангелия, возвешенного господом иисусом Христом¹⁷.

ეს უკანასკნელი მხარე განსაზღვრავს ქადაგების სპეციფიკას, ხასიათს. ქადაგება რელიგიური თვალსაზრისით, არის ღვთის სიტყვის გაშლა, გახსნა ან იმ მოძღვრების გაცნობა, რომლის მიზანია „ადამიანთა ხსნა“, და რომელნიც გადმოცემულნი არიან ე. წ. „წმიდა წიგნებში“ და ინახება ეკლესიაში.

მქადაგებელი უპირველეს ყოვლისა მასწავლებელი უნდა იყოს — ამბობენ ეკლესიის მამები — მისგან მოითხოვენ სარწმუნოების ახსნას.

იმის მიხედვით თუ რა თვალსაზრისით ავითარებს ქადაგებას მქადაგებელი, გამოყოფენ ოთხ სახეობას:

1) ჰომილიას, ანუ ახსნითი საუბარი, რომლის უშუალო წყარო და მასალა არის ე. წ. „წმიდა წიგნები“ და რომლის მიზანია მათი ახსნა.

¹⁶ Kant, Kritik der Urtheilskraft, 1869, Berlin, გვ. 193—195.

¹⁷ Певницкий В. Ф., Церковное красноречие и его основные законы, 1908, გვ. 10.

2) სიტყვა, რომელიც თავის შინაარსს ღებულობს ეკლესიურად წელიწადიდან.

3) კატეხიზმური დამოძღვრება, ანუ სარწმუნოების, ზნეობრიობისა და ღვთისმსახურების ელემენტარული გაკვეთილები.

4) ქადაგება, რომელსაც პუბლიცისტიკასაც უწოდებენ, ეს უკანასკნელი თანამედროვეობის კითხვებს უპასუხებს და მისი ამოსავალი წერტილია თანამედროვეთა შეხედულებები, რომელნიც ხშირად „ჭეშმარიტებას“ სცილდებიან. მისი საგანია აგრეთვე თეორიული დაბნეულობა, საუკუნის ზნეობრივი სენი, რომელსაც ის განსჯის და წარმართავს სარწმუნოების გზით.

თავდაპირველად საუბარი სარწმუნოებრივ საკითხებზე წარმოებდა დიალოგური ფორმით, ხოლო II საუკუნიდან ეს უკანასკნელი ადგილს უთმობს მონოლოგიურ ფორმას.

ყოველგვარი რელიგიური სიტყვის აღმნიშვნელ ტერმინად იხმარება *ἑρμηνεία* (ნათელი, რაციონალური დამოძღვრება სწავლება).

ტერმინი ჰომილია გვხვდება: 1) კლიმენტი ალექსანდრიელთან, 2) ბიბლიაში (მოციქ. XXII, 26), ბ) აპოკალიპსი (XIII, 17), გ) 1 კორ. (X, 33), რომელიც წარმოადგენს ბერძენი პოეტის მენანდრეს ციტატას და აღნიშნავს, როგორც საუბარს საერთოდ, ისე საჯარო, საზოგადოებრივ სიტყვას, ე. ი. წარმართი ბერძნების ტერმინოლოგიაა. სპეციალისტთა დაკვირვებით ჰომეროსიც ხმარობს ამ ტერმინს. მასთან *ἑρμηνεία* ნიშნავს იყო კრებულში, წვეულებაზე, მეგობართ შორის.

სიტყვა ჰომილია, ბარსოვის დაკვირვებით, ქადაგებასთან დაკავშირებით განსაზღვრავს უპირველესად შინაგან და არა გარეგან მხარეს საგნისას. მეორე მხრივ სიტყვა ჰომილია გამოხატავს ქადაგების ყველაზე ძირითად თვისებას, — მის არა მხატვრობას, რის გამოც ფოტი ი. ოქროპირის ქადაგებებს არ ახსენებს ტერმინი *ῥητορική*-ით, არამედ უწოდებს ჰომილიებს.

ჰარნაკი *ἑρμηνεία*-ს თარგმნის, როგორც მონოლოგიურს და არა სასაუბროს, სიტყვას, როგორც მეტად თავდაჭერილსა და მნიშვნელოვანს, უაღრესად მაღალი საგნების შესახებ, რომლისთვისაც უცხოა ხელოვნურობა, რიტორიკულობა.

კლიმენტი ალექსანდრიელი ხმარობს აგრეთვე ტერმინს *ῥητορική*- ეს უკვე მაღალმხატვრული სიტყვის აღმნიშვნელია, იმავე მნიშვნელობით, როგორც იხმარება ანტიკურ პერიოდში.

ტერტულიანესთან ქადაგება აღინიშნება ტერმინით *alloutio* საუბარი. სპეციალისტები, ისევე როგორც „ეკლესიის მამები“

ქრისტიანული ქადაგების პირველ ნიმუშებს ბიბლიაში პოულობენ. თვით სახარება მთლიანად, თავისი შედგენილობით, ყველა საუბარი ქრისტესი მიჩნეულია ქადაგებად. თეოლოგებსა და სპეციალისტებს ქრისტეს მიერ წარმოთქმული ქადაგების არსებით მხარედ მიაჩნიათ ის, რომ არ არის არგუმენტაცია, რადგანაც მისი მოძღვრება აბსოლუტური ჭეშმარიტებაა და ამიტომ არ საჭიროებსო დებულების ჩამოყალიბებასა და შემდეგ მტკიცებას. ის არის მხოლოდ მსჯელობა, თხრობა. სრულყოფილი ჭეშმარიტება, მათი აზრით, არ შეიძლება იყოს არც პრობლემა, არც ჰიპოთეზა, ის შეიძლება იყოს მხოლოდ აქსიომაო. ეს არისო პრინციპული ხასიათი მისი ქადაგებისაო, ხოლო მისი ფორმალური მხარეები შემდეგია: ეგზეგეტიკური, იგავური, სენტენციონარული (გნომატიური), საუბრითი და მკაცრად—მონოლოგური.

პირველი მხარე ე. ი. პირველი ფორმალური ხერხი ქრისტემ აიღო რაბინებისაგანო. კერძოდ ის ხშირად დადიოდა სინაგოგაში (მთ. IV, 23; IX, 23, 35; XII, 9; XIII, 54; მარ. I, 21; VI, 2; ლუკ. IV, 15, 16, 44; XIII, 20) და სწავლობდა მათი წესის მიხედვით, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ ჯერ წაიკითხავდნენ გარკვეულ ადგილს თალმუდიდან ან წინასწარმეტყველთა წიგნიდან (სჯულის კანონიდან), შემდეგ იძლეოდნენ მის განმარტებას. ასევე ქრისტეც თავის სინაგოგურ სიტყვებში ჯერ წაიკითხავდა ძველი აღთქმის ტექსტს, ხოლო შემდეგ იძლეოდა მის განმარტებას. ასეთია მისი ქადაგება ნაზარეთის სინაგოგაში (ლუკ. IV, 11—22, ეგზეგეტიკურია მთ. V, 31—45; XII, 3,5; XV, 4,7; მარკ. I, 44; II—25; VII, 6) ა. შ.

ასევე ძველი აღთქმის წიგნებთანაა დაკავშირებული გენეტიურად ქრისტეს მიერ იგავებით საუბარი, ფორმა არაკებისა. ამ ხერხით ქრისტე იმიტომ სარგებლობდა, რომ როგორც საერთოდ აღმოსავლელი ხალხისათვის, ებრაელებისთვისაც სახეობრივობას, ხატოვნებასა და სიმბოლიზმს განსაკუთრებულად დიდი ზემოქმედებითი ძალა ჰქონდა. ამ ხერხით ყოველივე დებულება უფრო ადვილ ასათვისებელი, ნათელი იყო. იგავები განსაკუთრებით იპყრობდა მსმენელთა ყურადღებას, იგავები თვით აამოქმედებდნენ მსმენელთა გონებას მოძღვრების ასათვისებლად. დასასრულს, არაკი აჟუცილებელი იყო მაშინაც, როდესაც გამოთქმული იყო მეტად მწარე ჭეშმარიტება, გაკიცხვა, მხილება, ამ უკანასკნელთ არც მოისმენდნენ, რომ ისინი არაკებით არ ყოფილიყო შენიღბული.

მესამე მთავარი ფორმა ი. ქრისტეს ქადაგებისა არის სენტენციური ან გნომისტური, წარმოადგენს ძველი აღთქმის სწავლების იმ ტიპის სრულყოფილ განხორციელებას, რომლის ნიმუშებს წარმოადგენს სოლომონის იგავთა წიგნი (παραμύθε) და ზაქარის ძის იესოს სიბრძნე. ამავე ჯგუფს ეკუთვნის მოკლე დარიგება და მოძღვრებები, მაგალითად, ქრისტიანულ სიყვარულზე... (იოანე VI, 26—55; VII, 14—29; 37—39, XI, 25). ეს მოკლე დარიგებები წარმოადგენენ გადასვლას მკაცრი სენტენციური დარიგების ფორმიდან—საუბრის ფორმაზე, რომელშიაც მოძღვრება გადმოცემულია საუბრის სახით ქრისტესა და ამა თუ იმ პირს შორის, ეს უკანასკნელნი სვამენ კითხვას, ქრისტე კი პასუხობს, ასეთია საუბარი ნიკოდიმთან (იოანე III, 1—21), სამარიელთან (IV); მოწაფეებთან და ფარისევლებთან (იოანე VIII, 2—20, 31—53; IX, 19, 25—39).

შედარებით მცირერიცხოვანია მონოლოგიური სიტყვები ი. ქრისტესი. მათი შინაარსის გაერთიანება საგნის ერთიანობის საფუძველზე ხდება (მათე XXV, 32—46), მეტწილად კი სრულიადაც არ წარმოადგენენ საგნის ერთიანობას (მათე XXI—XX; იოანე IV, 31—38; V, 19—47; XIII—13).

ყველა ამ სიტყვას აქვს წინასწარმეტყველური ხასიათი და შეიცავს ერთი მხრივ, მომავლის განქვრეტას, მეორე მხრივ,— მკაცრ მხილებას.

თხრობის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სახისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელია, საერთოა ის, რომ მათში შეიმჩნევა თემატიზმის უქონლობა, ე. ი. არ არის წინასწარ გამიზნული ლოგიკური სქემა და გეგმა, რიტორიკული აგება თანმიმდევრულად, ერთი მთავარი აზრის მეთოდური გაშლა. ქრისტეს ყველაზე ვრცელი სიტყვებიც კი (ფარისევლთა წინააღმდეგ, გამომშვიდობება მოციქულებთან იოანეს სახარებაში) წარმოადგენს აზრებისა და გამონათქვამების წყებას, მცირე არგუმენტაციით, მაგრამ არ არის გაერთიანებული ერთ ლოგიკურ მთლიანობაში, არ მისდევენ ერთ-მეორეს უშუალო ასოციაციური იდეების თანმიმდევრობით, ასე რომ ყოველი გამონათქვამი წინასთან და მომდევნოსთან წარმოადგენს განსაკუთრებულ მთლიანობას და მათი ურთიერთკავშირი სრულიად გარეგნულია.

მეორე ნიშანდობლივ მხარედ სპეციალისტები მიიჩნევენ მას, რომ ქრისტეს მოძღვრება გადმოცემულია საუბრის სტილში, როგორც პასუხი კითხვებსა და მოთხოვნილებებზე და აქედან განვითარებით ყალიბდება მსოფლმხედველობა.

სპეციალისტები ჰომილეტიკის ხასიათისა და განვითარების წარმოდგენისას უპირველესად ეყრდნობიან ბიბლიურ წიგნებს და ამ უკანასკნელში ნახულობენ არა მარტო ქადაგების ნიშნებს, არამედ ქადაგების თეორიის ჩამომყალიბებლებს, ჰომილეტიკის თეორეტიკოსებს. ამ მხრივ ჰომილეტიკის თეორიის მთავარ ფუძემდებლად, ჰომილეტიკის არსისა და ხასიათის დაზღვევად აღიარებულია პავლე მოციქული. მის წერილებში გამოთქმული მოსაზრებები და შეხედულებები მიჩნეულია ჰომილეტიკის ხასიათისა და ბუნების ერთ-ერთ განმსაზღვრელ პირობად. სპეციალისტთა დაკვირვებით, პავლე მოციქულის სხვადასხვა წერილში გამოთქმულია მოსაზრებები ქადაგების ხასიათისა და საგნის შესახებ. მაგალითად, ტიმოთესადმი გაგზავნილ წერილებში პავლე მოციქული მიუთითებს თუ როგორ უნდა ასწავლო (მე-2 წერილი ტიმოთესადმი I, 13; III, 14; II, 1, 2, 16). სწავლება უნდა ეყრდნობოდეს „წმიდა წიგნებს“, ასევე ზნეობრივი დარიგებები—სახარებას და არა მოსეს კანონს, რადგანაც ეს უკანასკნელი განკუთვნილი იყო უვიცთა და დიაკონთების (პირველი წიგ. ტიმ. I, 9, 10), მქადაგებელი უნდა ეყრდნობოდეს ქრისტეს მოძღვრებას (1 ტიმ. IV, 8, 9; 2 ტიმ. I, 13; II, 17; ტიმ. II, 1; ტიმ. II, 7, 8); ქადაგებდეს სიყვარულსა და ქცევის გარკვეულ ნორმებს (1 ტიმ. I, 5; V, 5; 1 ტიმ. V, 1—4; ტიტე 1, 3—7; II 1—6), ქვრივის მოვალეობისა და ოჯახის წევრთა ურთიერთობის შესახებ (1 ტიმ. V, 4—8); მდიდართა შესახებ (1 ტიმ. VI, 17—19), მონათა შესახებ (1 ტიმ. VI, 1—2; ტიტ. II, 9—10), სახელწიფო სამსახურში მყოფთა შესახებ (ტიტ. III, 1—2); მოციქულთა წერილებში არის რჩევები და მოძღვრების, სწავლების მეთოდების, ხერხების შესახებ. პავლე მოციქული თავის პირველ წერილში კორინთელთა და ებრაელთა მიმართ აღნიშნავს, რომ მასწავლებლებმა ისე უნდა ააგონ გაკვეთილები, რომ მსმენელებმა კარგად აითვისონ: „და ჩე ძმანო, ვერ უძლე სიტყუად თქუენდა, ვითარცა სულიერთა, არამედ ვითარცა ჯორციელთა, ვითარცა ჩხლთა ქრისტეს მიერ.“

საჩე გასუ თქუენ, და არა საქმელი, რამეთუ არლა გეცლო, არამედ არცალა აწ გიძლავს“ (ა. კორინთელთა III, 1—2).

ანდა „და რამეთუ თანა-გედვა, რათამცა იყუენით მოძღუარეჲთა ამისგან, კუალად გიჭმსველა მოძღვრებაჲ თქუენ ასოთა რათმე დასაბამისა სიტყუათა ღმრთისათა; და იქმნენით მოქენე სძისა, და არა მტკიცისა საზრდელისა.“

რამეთუ ყოველი, რომელი მიიღებნ ს'ესა, უმეტარ არს სიტყუასა მას სიმართლისასა; რამეთუ ჩიჳლ არს (ებრაელთა IV, 12—13)“. საქირთა სერიოზულობა, სიდარბაისლე (2 ტიმ. I, 7—8; II, 1—4), სიმართლე: „და ნუ ერჩიედ ურიაებრთა ზღაპართა და მცნებასა კაცთასა, რომელნი გარემიქცეულ იყუნენ ქეშმარტებისაგან“ (ტიტე I, 14), ანდა „ჰქადაგე სიტყუაჲ, ზედაადეგ ჟამითი უჟაზოდ, ამხილე, შერისხენ და ნუგეშინის-ეც ყოველითა სულგრძელებითა მოძღურებითა“ (ბ. ტიმოთე IV, 2), აქვეა ხაზგასმული თავმდაბლობა, როგორც მქადაგებლის უცილო თვისებები.

მიუღებელია მალალთარდოვანი სიტყვები: „რამეთუ ეგე ვითარნი იგი უფალსა ჩუშნსა იესუ ქრისტესა არა ჰმონობენ, არამედ თჳსსა მუცელსა, და ტკბილად მეტყუალებითა მით და კურთხევითა აცთუნიან გულნი უმანკოთანი“ (რომაელთა XVI, 18), ხოლო ტიტესადმი გაგზავნილ წერილში განსაზღვრავს სწავლების სახეებს: „ამას ეტყუოდე და ნუგეშინის—ჰსცემდე და ამხილებდ ყოველითა ბრძანებითა, ნუმცა ვინ 'მეურაცხ-გყოფს შენ“ (ტიტ. II, 15). აქ სამი სახეა ჩამოყალიბებული: ა) სიტყვა, რაც ნიშნავს ეკლესიის მოძღვრების პოზიტიურად და უბრალოდ თხრობას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქრისტიანული წესის შესახებ.

ბ) ნუგეშინისცემა—დარწმუნება, დაბეჯითებით მოთხოვნა მოვალეობის (υπακοή) შესრულებისა, მოძღვრების განხორციელებისა.

გ) მხილება-აღნიშვნა, მითითება წესის დარღვევისა და ამის გაშლ. გაკიცხვა. პავლე მოციქულის შესყდულებებზე დაყრდნობით ჰომილეტიკის ერთ-ერთმა თეორეტიკოსმა გიპერიმ ჩამოაყალიბა ქადაგების ხუთი სახეობა:

1. სწავლებითი (διδασκαλίας),
2. მხილებითი (ἐλέγχισ),
3. დამრიგებლობითი ანუ აღმზრდელობითი (παιδείσις),
4. გამოსწორებლობითი (ἐπανορθωσις),
5. ნუგეშისმცემლობითი (παράκλησις).

როგორც ვხედავთ, პავლე მოციქულის წიგნებში საკმაოდ საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული ქადაგების ხასიათის შესახებ. არა მარტო პავლე მოციქულის, არამედ ბიბლიის სხვადასხვა, როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის წიგნებში ვკითხულობთ გამონათქვამებს ქადაგების ამა თუ იმ საკითხზე. მაგალითად, ეზეკიელის წიგნში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქადაგება, მჭევრმეტყველება არ უნდა იყოს თვითმიზნური:

და შენ, ძეო კაცისაო, ძენი ერისა შენისანი მომზარებენ შენთვის კეთილთათანა და ბქეთა წინა სახლთასა, და ეზრახებიან კაცადი მოყუასსა თუსსა და კაცადი ძმასა თუსსა მეტყუელნი, შეგვკრბეთ და ვისმინოთ, რაჲ არს სიტყუა გამომაველი უფლისაგან და მოვლენ შენდა ვითარცა შემოკრბების ერი და დასხდენ წინაშე შენსა ერი ჩემი, და ისმენენ სიტყუათა შენთა და არა ჰყოფენ მათ, რამეთუ სიცრუეჲ პირთა შინა მათთა და კუალსა მას უსჯულოებისა და ბილწობისასა შეუდგენ გულნი მათნი. და შენ ექმენ მათ ვითარცა ჳმა იგი სახიობისა და ჳმა ნესტუსა მის, და ეამოდეს სიტყუა შენი, და არა ჰყონ. (ეზექ. 33, 30—32) (რუსულში უფრო მკვეთრად არის ეს: „[И вот ты для них—как заставный певец с приятным голосом и хорошо играющий; они слушают слова твои, но не исполняют их“]). ასეთი თვითმიზნურობა მჭევრ-მეტყველებაში, განსაკუთრებით ეკლესიაში, უარყოფით მოვლენად ითვლება, რადგან მსმენელს იპყრობს ის, თუ როგორ ლაპარაკობს, და არა ის, თუ რას ლაპარაკობს. გრიგოლ ღვთისმეტყველი მწუხარებით აღნიშნავს, რომ ბევრი ეკლესიაში მიდის რათა დაიტკბოს სმენა და მიიღოს სიამოვნებაო. ი. ოქროპირის თქმით: ბევრი მქადაგებელს უსმენს არა სარგებლობისათვის, არამედ გართობისათვის, და იგივე განწყობილება და მოთხოვნილება აქვთ, როგორც ტრაგიკული პოეტის მოსმენის, ანდა ცირკში თამაშის ჳვრეტის დროს¹⁸. გრ. ღვთისმეტყველი თავის თავის შესახებ ამბობს, რომ ის „не из числа красноречивых, похищающих благосклонность ласкательством“ და ამასთანავე წუხს, რომ ბევრი მქადაგებელი: „Много способных к этому ласкательству... Эти люди не наше благочестие, которое просто и чуждо искусственности, обратили в искусственное и в какой-то новый род упражнения, перенесенный с торожницъ во святилище и с зрелища в недоступное взорам многих тайноводство“¹⁹.

საგულისხმოა გრიგოლ Двоеслов-ის შენიშვნა, რომ ეკლესიის მტერია ის, ვინც ცდილობს, თუნდაც კერძო საშუალებებით, გახდეს ეკლესიისათვის საყვარელი, ნაცვლად იმისა, რომ ქრისტე გახადოს ხალხისათვის საყვარელი. ეს იქნებოდა იგივე, რომ რომელიმე ყმას, რომელსაც შეყვარებულმა გამოატანა სარძლოსთან

¹⁸ Златоуст И., Слово о священстве, V гл., 1.

¹⁹ Богослов Г., 36-е слово о себе самом, Твор. отц. церк. в рус. пер., т. II, гл. 201.

სახუქარი, განეზრახა, რათა სარძლო თვით მოეხიბლა და საკუთარი თავისადმი განეწყო. მქადაგებელი აღარ ემსახურება ჭეშმარიტებას, როდესაც ის ცდილობს თავი მოაწონოს ხალხს.

მქადაგებლის სიტყვები არ უნდა იყოს განყენებული, მშრალი, არამედ ის უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს სინამდვილეს, ცხოვრებას, აღნიშნავს გრ. ლეთისმეტყველი. მქადაგებლები ხშირად კმაყოფილდებიან ზოგადი აზრებით და გვთავაზობენ სიტყვებს, თუმცა ჭეშმარიტსა და წმიდას თავიანთი შინაარსით, მაგრამ თავისი განყენებული შინაარსით ეხებიან, შეეფარდებიან ყველაფერს, მაგრამ კონკრეტულად არაფერს. ასეთი სიტყვები ჩვეულებრივ მსმენელის სულზე ზედაპირულად სრიალებს, მაგრამ არ ჩაიბეჭდება გულში და იბნევიან ჰაერში, არ იწვევენ მოქმედების მოთხოვნილებას. ცოტას ნიშნავს სიტყვა: ნუ შეცოდებთ, ანდა იყავით კეთილმოქმედნი, რომლის მსგავსი გამოთქმები შეადგენენ ხშირად ქადაგების შინაარსს; ამ კეთილ ზოგად გაკვეთილს უნდა მიეცეს განსაზღვრული ფორმა, ის უნდა იქნეს მიმართულება მიცემული, უნდა უპასუხებდეს გარემოებას, მსმენელის განწყობილებასა და მოთხოვნილებას. აქედან, მქადაგებლისაგან საჭიროა განსაკუთრებული ცდა და უნარი, რომ მის მიერ გამოთქმულ დარიგებებს ჰქონდეს სასიცოცხლო ძალა, და განყენებული სფეროდან გადავიყვანოთ პრაქტიკულ სფეროში.

თუ მქადაგებლის გული იმ ხალხისადმი სიყვარულითაა გამსჭვალული, რომელთაც ის უქადაგებს, მაშინ ის შევა ცოცხალ და უშუალო ურთიერთობაში ამ ხალხთან. მქადაგებელი თანაგრძნობით მოეპყრობა ხალხს, გაიგებს მის შეხედულებებს, მის უსწებრივ მდგომარეობას, მთელი თავისი ნაკლოვანებით, მისი გონებრივი განვითარების დონეს და მისი სულიერი ცხოვრების მიმართულებას. ეს ცოდნა კი აუცილებელია, ამ ცოდნის გარეშე მქადაგებლის სიტყვები არ იქნება მახვილი, არამედ ზოგადი და განყენებული. ამ ცოდნის გარეშე მან შეიძლება მსმენელებს არ მიაწოდოს ის, რაც საჭიროა და ილაპარაკოს იმ ტონითა და სტილით, რაც მსმენელისათვის იქნება უჩვეულო და ძნელად ასათვისებელი.

მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ეკლესიის თვალსაზრისით ქადაგებებში ცხოვრებისეული საკითხებით გატაცებამ მეორე უკიდურესობას მიაღწია, დაივიწყეს მთავარი ამოცანა—ქრისტიანული მოძღვრება, და ეკლესიის კათედრიდან ისმოდა დარიგებები ყოფით საკითხებზე. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ პროტესტანტები გერმანიაში. ევდემონისტური ფილოსოფიის ზეგავ-

ლენით ისინი ზრუნავდნენ ადამიანის ამქვეყნიურ კეთილმდგომარეობასა და ზნეობაზე. ისინი საუბრობდნენ სასოფლო-საწიგურეო და მედიცინის საკითხებზე, რომლებიც ეხებოდა ადამიანის ჯანმრთელობას,—მაგ., ყვავილის საწინააღმდეგო აცრას; საგნების შესახებ, რომლებიც ეხებოდნენ მოქალაქეობრიობას, საზოგადოებრივ წესრიგს, სიყვარულს, ადამიანთა ურთიერთობას და სხვა...

მქადაგებელმა ქადაგების საგანი უნდა დაუკავშიროს ცხოვრებას, სინამდვილეს, მაგრამ მისთვის მთავარია იცოდეს თვით ქრისტიანული მოძღვრება. ნეტარ ავგუსტინეს „წმიდა წიგნების“ ცოდნა მიაჩნია მთავარ პირობად ქადაგების წარმატებისათვის. „Мудро гонорит человек тем более или менее, чем более или менее оказал. он истинных успехов в познании священного писания, т. е. не в одном только чтении и затверживании одного на память, но вместе в добром разумении и в тщательном изыскании смысла его...“

Чем беднее видит проповедник самого себя в отношении к собственным дарованиям, тем нужнее ему обогащаться знанием слова божия, дабы, то что он говорит своими словами слабо, подкреплять силою писания“²⁰. დიდმა მქადაგებლებმა — ბასილ დიდმა, გ. ლეთისმეტყველმა, ი. ოქროაირმა შესანიშნავად იცოდნენ არა მარტო საღვთო წიგნები, არამედ დიდი განათლება მიიღეს თანამედროვე საერო მწერლობაში და მათ ხშირად იყენებდნენ როგორც საღვთისმეტყველო, ისე მქადაგებლურ არაქტიკაში. ბასილ დიდმა დაწერა კიდევ საგანგებო თხზულება — „სიტყვა ყრმათა მიმართ, თუ როგორ გამოიყენონ წარმატებული (საერო) თხზულებები“, რომელშიც ამტკიცებს, რომ გარეშე მწერალთა შესწავლა არ არის სარგებლობას მოკლებული, თუ ნათგონიერულად გამოიყენებ.

ერაზმ როტერდამელი თავის ჰომილეტიკაში, ლაპარაკობს რა ორატორის აღზრდაზე, აღნიშნავს, რომ „წმიდა მამათა“ გვერდით აუცილებლად უნდა შევისწავლოთ — დემოსთენი და ციკერონი, პლატონი, არისტოტელე, ლიბანიუსი, ტაციტი, სენეკა, პლუტარქი და სხვები. რასაკვირველია, ამ უკანასკნელთა რაააოვენი მქადაგებელმა უნდა გამოიყენოს განსაკუთრებული სიკრთბილით და მათ არ უნდა მისცეს ის მნიშვნელობა, რასაც აძლევს „წმიდა მამების“ ნააზრევს.

²⁰ Христианская наука. блаж. Августина. Кн. IV, гл. 7—8. Киев, 1835, гл. 249—250.

ნეტარი ავგუსტინე, აყალიბებს რა მქადაგებლის წესებს, რომ „წმიდა წიგნებში“ წარმოდგენილია აშკარა კვალი მჭევრმეტყველებისა, იძლევა რჩევას, რომ მათში ვისწავლოთ არა მარტო სიბრძნე, არამედ მჭევრმეტყველებაც: „Может быть, кто-нибудь спросит: писатели священных книг мудрыми ли должны быть названы или вместе и красноречивыми? Там, где они писатели понятны для меня, там для меня ничего не может быть не только мудрее их, но и красноречивее...“

Соввершенство языка, общее сим мужкам с языческими ораторами и поэтами, само о меня, можно сказать, не слишком удивляет. Напротив, я тому наиболее удивляюсь и изумляюсь, как священные писатели, при своем особом и высшем роде впитанств, так искусно умели употреблять наше человеческое красноречие, что оно и находится у них все вполне, и между тем не выказывается явно: ибо им не надлежало ни отвергать красноречия человеческого, ни тщеславиться им. Если людям, знакомым с наукою, в некоторых местах писания представляются явные следы красноречия человеческого, то в сих местах говорится о таких предметах, что слова, выражающие предметы, кажутся не от писателя придуманными, а добровольно из сущности предметов родившимися. Читая их, невольно думаешь, что здесь одна простая мудрость исходит из обители своей, то есть из груди мудреца, а красноречие следует за нею как неотлучная раба, не будучи несколько звана к ней²¹. ავგუსტინეს მტკიცებით ქადაგებაში ფორმისეული ნახე მეორადია. უნდა ითქვას, რომ ეკლესიის წამები ამ შემთხვევაში არავითარ ორიგინალურ დებულეზას და ისიც ნხოლოდ ქადაგებისათვის დამახასიათებელს არ აყენებენ. საქმე ისაა, რომ საერთო ხასიათის მჭევრმეტყველურ ხელშეწყობაშია ც მეორად (მაგრამ საქაო მნიშვნელოვან) ფაქტორადაა აღიარებული ფორმალური ნხარეები.

ქადაგების ისტორიაში ხშირია შემთხვევა, როდესაც მქადაგებლის საგანია ერთი რომელიმე ფაქტი, მაგრამ ის ყურადღებას ამახვილებს ამ ფაქტთან დაკავშირებულ მოვლენასთან. მაგალითად, ი. ოქროპირი გაოგებების მოთხროვილების მიხედვით აღდგომის დღესასწაულზე ლაპარაკობს არა მარტო აღდგომის შესახებ, არამედ სიმთვრალის შესახებ, უკანასკნელზე გაცილებით მეტს, ვიდრე პირველზე. ასევე ბასილ დიდის

²¹ Христианская наука, кн. IV, гл. 9 და 10.

ცნობილი სიტყვა მემთვრალეობაზე ნათქვამია აღდგომის დღესასწაულზე, იმასთან დაკავშირებით, რომ ამ დღესასწაულს მოყვება ხოლმე მრავალი ურიგო ქცევა. ასეთი თითქოს და გადახვევა ძირითად თემიდან არამცთუ ნაკლია ქადაგებისათვის, არამედ ზოგჯერ აუცილებელიცაა. თუ მქადაგებელი თავის თემის შერჩევისას მისდევს მხოლოდ „წმიდა წიგნების“ ტექსტს, ანდა ეკლესიურ წელიწადს, მაშინ შეიძლება მხედველობიდან გამოორჩეს ცხოვრებისეული მოვლენები, რომელნიც მისგან მოითხოვენ გაშუქებასა და გამოსწორებას და მის სიტყვაში, მიუხედავად ბიბლიური წყაროების ღრმა ცოდნისა და მრავალფეროვნად გაშუქებისა, შეიძლება იგრძნობოდეს მნიშვნელოვანი ხარვეზი. მაგრამ ამ უკანასკნელ, ე. ი. ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობა უნდა იყოს მეტად ზომიერი და, რაც მთავარია, სარწმუნოების პრინციპებთან დაქვემდებარებული.

ჰეშმარიტად ეკლესიურ-ბიბლიური სული რომ მიეცეს ქადაგებას, ამისათვის საჭიროა სარწმუნოებრივი სულის გრძნობა და განსაკუთრებული ტონი, თეოლოგების მტკიცებით ორივე ეს არ ჩამოყალიბდება ლოგიკური ცნებებით, რომ ჩვენ ისინი დავახარისხოთ და სახელმძღვანელო გავხადოთ, მაგრამ ისინი გამომუშავდებიან მხოლოდ და მხოლოდ გულწრფელი, შინაგანი რწმენით. აუცილებელია აგრეთვე მქადაგებლისათვის ბიბლიურობა და ეკლესიურობა. მქადაგებელის ძირითადი საყრდენი უნდა იყოს ბიბლიური წიგნები.

ხშირად ისმის საკითხი, შეიძლება თუ არა ერთსა და იმავე საკითხზე განმეორებით საუბარი. ამ კითხვაზე დადებითად სცემენ პასუხს. ერთსა და იმავე საკითხზე, მით უფრო თუ ის ზნეობრივ ნაკლს შეეხება, მრავალგზის უნდა იმსჯელო და იქამდე, ვიდრე არ მიაღწევ მიზანსო—მსმენელთა ზნეობრივ დახვეწას. მაგალითად, ი. ოქროპირი ბაზს უსვამს, რომ ის ერთსა და იმავე საკითხს მრავალგზის შეეხო: „Хотя я вчера и третьего дня говорил Вам об этом предмете (избежании клятвы), однако не перестану и сегодня, и завтра, и послезавтра внушать то же. Не перестану, пока не увижу, что вы исправляетесь. Если уже преступающие закон не имеют стыда, тем более мы, внушающие не преступать закона, не должны стыдиться постоянного увещания об одном и том же.“

Постоянное напоминание об одином и том же законе не от говорящего, но от слушающих, которые требуют непрерывного наставления в простых и удобоисполнимых делах²².

ერთისა და იმავე საკითხისადმი მრავალგზის დაბრუნების მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მქადაგებელმა ზეგავლენა მოახდინოს მსმენელებზე. შთაბეჭდოს მასში ის, რის დანერგვაც უნდა, ამიტომ საჭიროა, რომ მისი ქადაგება იყოს პოპულარული ხასიათისა. მქადაგებელმა ეკლესიის კათედრიდან საკამათო და რთული თეოლოგიური საკითხების გარჩევისაგან თავი უნდა შეიკავოს. მაგრამ პოპულარობისათვის მარტო ეს არ არის საკმარისი.

მქადაგებელის სიტყვა არ იქნება პოპულარული თუ ის ისაუბრებს მშრალად, განყენებული ცნებებით. ასეთი სახის მსჯელობა ხალხზე ნაკლები ზემოქმედების მომხდენია. მთავარია წარმოსახვის თვალნათლივობა და აზრის განვითარების ხერხი.

მქადაგებელი სასურველ შედეგს მაშინ აღწევს, როდესაც განყენებული მსჯელობის ნაცვლად საგანს ან მოვლენას გამოხატავს იმ კერძო ხასიათში, რომელიც ადვილი ასათვისებელია მსმენელთა საერთო დონისათვის მოცემულ შემთხვევაში. ცხოვრება და მისი მოვლენები უნდა იყოს ის საწყისი, საგანი, რასაც უნდა დაესახოს მქადაგებელი, რათა გასაგები გახადოს ქრისტიანული მოძღვრების ესა თუ ის პრინციპები.

ჰომილეთიკის ერთ-ერთი თეორეტიკოსი შოტი აღნიშნავს, რომ პოპულარობის კანონს ჩვენ მაშინ ვიცავთ, როდესაც ზოგადს წარმოვადგენთ კერძო მოვლენაში და ძირითადი დებულება გამოვვაქვს ფაქტებსა და მაგალითებში. ამ ფაქტებს, მაგალითებს კი ვსესხულობთ ადამიანთათვის ახლობელი და ნაცნობი სფეროდან.

ხალხისათვის ადვილი გასაგები ქადაგება გულისხმობს იმას, რომ ქადაგება გათვალისწინებული იყოს სწორედ მოცემული ხალხისათვის. ამფიტეატროვი აღნიშნავს, რომ რუსი მქადაგებლების ქადაგებები უნდა იყოს სწორედ რუსული, განსხვავებული სხვა ერის ქადაგებისაგანო. ყველა ერს როდი აქვს ერთი და იგივე სული, ხასიათი, გემოვნება და ჩვევა, ნიჭი და მისწრაფებები, სიკეთე და ცოდვები, ამიტომ ქადაგებებიც მათ მიმართ განსხვავებული უნდა იყოს.

პოპულარული ქადაგების ნიშნად ქრისტეს მიერ ჩამოყალიბებული სტილის ქადაგებას ასახელებენ, იმის ნაცვლად, რომ მო-

²² Златоуст И., Беседа о статуях. 5 и 7. Твор. И. Злат., т. II, кн. 1, гл. 80.

ძღვრება გადასცეს მეცნიერული მსჯელობით, ქრისტე წარმოგვიდგენსო მაგალითებს, მოჰყავსო ნიმუშები და სხვადასხვა შედარებები და ეს შედარებები, ნიმუშები იმ საგანთა სფეროდან, რომელიც ახლო და გასაგებია ხალხისათვის.

პოპულარობის აუცილებელი პირობაა გარეგანი ფორმა, ქადაგების ენობრივი მხარე. ნეტარი ავგუსტინე აღნიშნავს, რომ მქადაგებლის მთავარი მიზანი უნდა იყოს, რათა მისი ნათქვამი გახდეს გასაგები ყველაზე შეზღუდული ადამიანისათვისაც კი. თუ გაუგებრობა გამოწვეულია არა ჩვენი სიტყვებით, არამედ საგნის სირთულით, მაშინ ამ საგანზე სულ ნუ ვილაპარაკებთ. თუ ჩვენ კარგად ვართ ჩაწვდენილი საგნის არსში, მაშინ უნდა ვიხმაროთ ყოველი ღონე, რათა ის სხვისთვისაც გასაგები გავხადოთ.

მქადაგებელი უნდა ერიდებოდეს გრძელ პერიოდებს, მრავალწევრა წინადადებებს, უცხოურ სიტყვებს. ერიდოს აგრეთვე მეცნიერულ სტილს, ტერმინების ხმარებას, უნდა ილაპარაკოს სადად. აზრი და გრძნობა უნდა გამოიხატებოდეს ბუნებრივად, ძალდაუტანებლად. ის უნდა მსჯელობდეს, როგორც შეფერის განათლებულ ადამიანს. ეს უკანასკნელი ყურადსაღებია. როდესაც ქადაგებაში თხოულობენ სისადავეს, ეს არ ნიშნავს უბრალოებას. სისადავე ქადაგებაში უნდა იყოს სუფთა და თავდაქერილი, მასში არაფერი არ უნდა იყოს ვულგარული და დამდაბლებული. მქადაგებელი არ უნდა ლაპარაკობდეს „მდაბიოთა“ ენით. პოპულარობა სრულიადაც არ ნიშნავს სიმდარეს. ეიბერის თქმით, მქადაგებელი უნდა იყოს პოპულარული, მაგრამ ამავე დროს ამაღლებული. ქადაგებაში მთავარი მაიხც არის ბიბლიური ენის დაცვა. არა მარტო მართლმადიდებლები ან კათოლიკები, არამედ პროტესტანტებიც კი, რომელნიც შედარებით თავისუფლად ექცეოდნენ ეკლესიის მოთხოვნილებებს, საჭიროდ სცნობდნენ ქადაგებისას „ბიბლიური ენის“ დაცვას. ეს კი ნიშნავს, რომ მქადაგებელმა თავისი ენა, გამოთქმის სტილი, სახეები უნდა შეუფარდოს ე. წ. „წმიდა წიგნების“ სტილს, სახეებს. მეტად მნიშვნელოვანი საკითხი ჰომილეტიკაში (არა მარტო ჰომილეტიკაში, არამედ ქრისტიანულ მწერლობაშიც) არის შემდეგი: აქვს თუ არა მქადაგებელს უფლება ისარგებლოს სხვისი ქადაგებებით და თავისის ნაცვლად მიაწოდოს მსმენელს ქადაგება სხვა ცნობილი მქადაგებლისა—სრულიად გადაუკეთებლად, თუ შემოკლებული. ამაზე არ შეიძლება პირდაპირ უარყოფითი პასუხის გაცემა.

ნეტარი ავგუსტინე ამბობდა: „Есть люди, которые могут хорошо произносить проповеди, но не могут выдумывать того,

что произнести, не могут сами писать проповедей. В таком случае нет греха и бесчестия заимствовать у других мудро и красноречиво написанные поучения, выучивать их на память и предлагать народу.

Проповедники сказывающие чужие поучения отнюдь не должны приходить в смущение от гласа пророка Иеремии, через него бог обличал тех, „которые крадут слова Бога друг у друга“ (Иерем. XXIII, 30), ибо крадет тот, кто похищает чужое, а слова божие не есть чужое для тех, кои повинуются богу...

Если добрые христианские наставники сужают свои сочинения добрым же проповедникам, то здесь оба,—и сочинители и сказатели,—проповедают свое, а не чужое; поелику у обоих у них и бог свой, кому принадлежит то, что они проповедают, и сочинения чужия делаются своими для тех, кои не могли сочинить своих, живут чинно, по чужим сочинениям²³.

რამდენიმე საუკუნის შემდეგ გუმბერტ რომანელმა განავითარა იგივე აზრი: ზოგიერთ მქადაგებელს, რომელსაც არ შესწევს უნარი საკუთარი ქადაგების შეთხზვისა, ეუხერხულება ისარგებლოს იმით, რაც იყო სხვის მიერ თქმული და ამბობს მხოლოდ მას, რასაც თვით იგონებს. ესენი გვანან მათ, რომელნიც სხვა პურს არ იძლევიან გარდა საკუთარი გამონცხვარისა. მოჰყავს ერთი ეპიზოდი: პაპა ინოკენტი, ლატერანიის კრების ერთ-ერთ დიდ დღესასწაულზე ქადაგებას წარმოთქვამდა. მის გვერდით იყო ადამიანი, რომელსაც ხელში ჰქონდა გრიგოლის საუბარი ამავე დღესასწაულზე. პაპა სიტყვა-სიტყვით ყველასთვის გასაგები ენით გადმოსცემდა მას, რაც გრიგოლთან დაწერილი იყო ლათინურ ენაზე. რადგანაც ქადაგება არ ახსოვდა ზეპირად, ამიტომ გვერდზე მდგომს ეკითხებოდა, თუ რა ეწერა გრიგოლს. ქადაგების კითხვის გათავების შემდეგ ჰკითხეს პაპს, რატომ მოიქცა ის ასე, როდესაც მას შეეძლო ბევრი რამ საკუთარი ეთქვა. მან უპასუხა—ამით მე გავკიცხე ისინი, რომელთაც ეთაკილებათ სხვისი ნათქვამის გამეორებაო.

ჰომილეტიკის ისტორიაში გამოთქმულია მეორე შეხედულება, რომლის მიხედვითაც მქადაგებელი უნდა ქმნიდეს საკუთარს,

²³ Блаж. Августин, Христианская наука, кн. IV, гл. 62, гл. 350—353.

რომელშიაც გამოვლინდება როგორც პირადი გრძნობა და რწმენა, ისე გათვალისწინებული იქნება მსმენელთა მოთხოვნილებების ყველა დეტალი, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში.

როგორც პირველ, ისე მით უფრო მეორე შემთხვევაში მქადაგებელმა ქადაგებისას აუცილებელია გამოავლინოს თავისი პიროვნება. პეენიციკი აღნიშნავს, რომ ქრისტეს მოძღვრება, მართალია, ზეციდან შთაენერგება მქადაგებელს და მისი საშუალებით ეუწყება მსმენელს, მაგრამ მქადაგებელი არ არის „Мертвый орган, через который механически передается народу слово спасения, а живой свидетель истины, признавший на служение ближним своим. Истина, им возвещаемая, должна пройти через горнило его духа, так сказать, расплавиться в лаборатории его сердца, и явиться перед слушателями не в мертвом или сухом виде, но согретая его дыханием, как живое слово его убеждения“²⁴.

ამრიგად, ჩვენ შევეცადეთ ზოგად შტრიხებში ჩამოგვეყალიბებინა ქადაგების ბუნება, მისი ნიშანდობლივობა. ამჯერად განვიხილავთ თუ როგორ იცავს ამ პრინციპებს ქართველი მქადაგებელი.

*

ქართული ჰომილეთიკის ჩანასახი მოცემულია ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებში. იოანე საბანისძე, ისევე როგორც გიორგი მთაწმინდელი, დიდი ნიჭის მქვერმეტყველია. მათი სახით ქართულმა ჰომილეთიკამ განვითარების გარკვეულ საფეხურს მიაღწია, მაგრამ ისინი არ იყვნენ პროფესიონალი მქადაგებლები. მქადაგებლის ტიტული ეკუთვნის ქართული სიტყვის დიდ ოსტატს იოანე ბოლნელს.

ჩვენამდე არ მოუღწევია იოანე ბოლნელის სხვა ხასიათის თხზულებებს და ამიტომ ვერაფერს ვიტყვით მისი მოღვაწეობის შესახებ მწერლობის სხვა ეანრში, მაგრამ როგორც ჰომილეთიკოსს მას დიდი ავტორიტეტი მოუპოვებია თანამედროვეთა შორის და ქართული მწერლობის ისტორიის მთელ მანძილზე მისი სახელი დიდი მოკრძალებითა და პატივისცემით წარმოითქმოდა ქართველ მწერალთა მიერ. და დღესაც, XX საუკუნის მოქალაქეს აოცებს და ხიბლავს ამ შესანიშნავი მქვერმეტყველის სიტყვის ძალა.

თანამედროვეთათვის ი. ბოლნელის ქადაგებები შინაარსობრივად ნაკლებ საინტერესოა, ისინი ვიწრო რელიგიურ ხასიათს

²⁴ Певницкий В. Ф., დასახ. შრომა, გვ. 75.

ატარებენ, კერძოდ, ყოველი მათგანი მიძღვნილია სახარების ამა თუ იმ ადგილის განმარტებისადმი. როგორც აკად. კ. კეკელიძე აღნიშნავს: „იოანე ბოლნელის ქადაგებანი რამდენადმე იოანე ოქროპირის ქადაგებებს უახლოვდება თავისი ზოგადი ხასიათით. ეს ქადაგებები წარმოადგენს სახარების ტექსტის განმარტებას მსგავსად ოქროპირისა; განმარტებულია, უმეტეს ნაწილად, „დასაწყისი“ ლუკასა და მათეს სახარებიდან, რომელიც ამა თუ იმ კვირიაკეს იკითხება საეკლესიო კალენდარით. იოანეს ჰომილეტიკურ-ეგზეგეტიკური მეთოდი, როგორც იოანე ოქროპირისა, არის ალევგორიული, მორალური და, ზოგიერთ შემთხვევაში, ფილოლოგიური“²⁵.

ბოლნელის შემოქმედებაში თავი ვერ იჩინა იმდროინდელმა ქართულმა სინამდვილემ, ის არ ეხება თანამედროვეთა საკიბო-როტო საკითხებს, ეს იქნება ეროვნული, სოციალური თუ ყოფითი სფერო. მისი ქადაგებების საშუალებით ძნელია წარმოვიდგინოთ იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, ეროვნული ინტერესები და მისწრაფებები, კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრება. მაგრამ მიუხედავად ასეთი უკიდურესად რელიგიური ხასიათისა, იოანე ბოლნელი მაინც ახერხებს სარწმუნოებრივ ჩარჩოებს მიღმა ეთიკის სფეროში დამოძღვრებების მოცემას, სახარებიდან ის იღებს ერთგვარ პირველ საწყისს და შემდეგ განზოგადების სახით იძლევა შეგონებებს მორალის სფეროში.

ჩვენთვის იოანე ბოლნელის ქადაგებები უაღრესად ძვირუა-სია, როგორც გამოვლენა სიტყვის მაღალი კულტურისა, ქართული და არა მარტო ქართული, მჭევრმეტყველური ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშისა. ეს უკანასკნელი თვისებები არ ვლინდება მხოლოდ გამოსახვის ფორმალურ მხარეში, არამედ ის წარმოგვიდგება როგორც შინაარსისა და ფორმის ჰარმონიული შერწყმა და ამიტომ იოანე ბოლნელის შემოქმედების ღირსებაში წვდომისათვის საჭიროა, მისი ქადაგებების რელიგიური ხასიათის მიუხედავად, სწორედ თვით ბოლნელისა და მის მსწენელთა თვალსაზრისიდან განჭვრეტა, თუ როგორ ახერხებს ის გარკვეული იდეის განვითარებას. იოანე ბოლნელის ქადაგებების შეფასებისას უნდა დავიცვათ ისტორიზმის პრინციპი. უნდა გვახსოვდეს, რომ იმ დროისათვის ქრისტიანული რწმენა რეალობა იყო, ქეშმარიტებას მასში პოულობდ-

²⁵ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, 1960 წ. გვ. 183.

ნენ და ორატორის, მქადაგებლის მხატვრული ხერხი, გამოსახვითი საშუალებები ემსახურებოდნენ ამ ჭეშმარიტების გამოვლინებას. ამიტომ ი. ბოლნელის მჭევრმეტყველური ოსტატობის გარკვევისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ ის იდეური შინაარსი, რომლის გახსნას ისახავდა მიზნად მის მიერ გამოყენებული მხატვრული ხერხები, ანუ ეს უკანასკნელნი რამდენად შეესატყვისებოდნენ ქადაგებათა დედააზრს.

დღეს ჩვენ იოანე ბოლნელი გვიზიდავს და გვხიბლავს არა თავისი იდეური მიზანსწრაფვით, არამედ როგორც შესანიშნავი მჭევრმეტყველი და ამ თვალსაზრისით მისი თხზულებათა შესწავლისათვის საჭიროა გავარკვიოთ, თუ როგორ გადმოგვცემს ეს შესანიშნავი მქადაგებელი გარკვეულ იდეას, როგორ შლის, რაშია მისი არგუმენტაციის ძალა, როგორ ავითარებს თხრობას და, საერთოდ, რა ორატორული ხერხებით, რა მხატვრული საშუალებებით ახერხებს მსმენელებსა და მკითხველებზე ზემოქმედებას.

იოანე ბოლნელის ქადაგებები, როგორც აღვნიშნეთ, წარმოადგენენ სახარების ამა თუ იმ ტექსტის განმარტებას, პოპულარიზაციას. მაგრამ ქართველი მქადაგებელი არ კმაყოფილდება მხოლოდ ტექსტის მშრალი ინტერპრეტაციით, იქ წარმოთქვამს მჭევრმეტყველურ სიტყვას და მსმენელების ყურადღებას იპყრობს მალალ-მხატვრული მეტყველებით, თხრობას ავითარებს მიმზიდველად და ყველასათვის ადვილასათვისებლად. თუ როგორ შლის თხრობას ი. ბოლნელი, ამის საილუსტრაციოდ შევჩერდებით ერთ-ერთ ქადაგებაზე, რომელიც წარმოადგენს თარგმანებას სახარების ცნობილი ეპიზოდისას — „სიმონ ფარისეველი და დედაკაცი სიძესა“.

აღნიშნული ეპიზოდის დედააზრი მდგომარეობს იმაში, რომ უჩვენოს ი. ქრისტეს თავმდაბლობა და სულგრძელობა, რომელსაც ის თითქოს ამჟღავნებს, ერთი მხრივ, სიმონთან სტუმრობით და, მეორე მხრივ, „მეძავი დედაკაცისათვის“ ცოდვების პატიებით. აღნიშნულ თემას შემდეგნაირად შლის იოანე ბოლნელი. მისი ქადაგება იწყება მსმენელთადმი პათეტიკური მიმართვით:

„აწ მოვედით საყოვარელნო და ისმინეთ სიტყოვათა ჩეთა“. აღნიშნული მოწოდებით მსმენელთა ყურადღების მობილიზაციის შემდეგ ი. ბოლნელი აცნობს მათ თავისი ქადაგების მიზანს:

„ხოლო აწ, ძმანო [ჩემნო], გეტყვ თქოვზ ყოველნი ეგე, რომელ შემოკრებოვლ ხართ საყოვარელნო სასოვრველნო ქრისტესნო: არამე ოვწყითა რამეთოვ ძქ ლე განმზადებოვლ არს მოსლვად“²⁸.

²⁸ ი. ბოლნელი, ქადაგებანი, 1911, გვ. 7. შემდეგშიც მითითებულნი იქნება აღნიშნული გამოცემა.

ქრისტიანული თვალსაზრისით ამ დიდი მოვლენისათვის ყოველი მორწმუნე საგანგებოდ უნდა იყოს მომზადებული და იოანე ბოლნელი მისთვის ჩვეული ენაწყლიანობით, ფრაზების ანაფორულად აგებით აყალიბებს, თუ რა მართებს მორწმუნეს. ანაფორის ფიგურას მჭევრმეტყველი მქადაგებელი გრადაციის პრინციპით აგებს, ყველა ფრაზა ერთი და იმავე სიტყვით იწყება და ყოველი მომღვწეო წინადადება წინასაგან ზეალმატებულად წარმოგვიდგენს მოვლენას, თანდათან აძლიერებს მორწმუნის მოვალეობას ღვთაების წინაშე:

ჩოკენდა ჯერ არს განღვება ძილისაგან მწრათლ:

ჩოკენდა ჯერ არს ზე აღდგომად გოჯლსმოდგინედ:

ჩოკენდა ჯერ არს წარმართებაჲ მკოჯრვალედ:

ჩოკენდა ჯერ არს მიგებებაჲ მისა სიხაროჯლით:

ჩოკენდა ჯერ არს თაყოჯანის ცემაჲ მისა სიწმიდით:

ჩოკენდა ჯერ არს მისა მუჯლთ მოდრეკაჲ სინანოჯლით:

ჩოკენდა ჯერ არს მისა შევედრებაჲ ცრემლით (სინანული-საჲთა).

ჩოკენდა ჯერ არს მისა აღსარებაჲ²⁷.

საოცარი ექსპრესიითაა გადმოცემული მორწმუნის მისწრაფება ღვთაებისადმი. ეს გრადაციული ჯაჭვი იწყება ნელი მშვიდი ფრაზით, რომელშიაც გამოხატულია მოქმედების პირველი საფეხური— განღვიძება, ამას მოსდევს შემდგომი საფეხური— ზე აღდგომა, მოქმედება თანდათან ძლიერდება, ყოველი მომღვწეო წინადადების ზმნა გამოხატავს ახალ ზე აღმავალ საფეხურს, კერძოდ ზე აღდგომას მოსდევს მიგებება, თაყვანისცემა, შევედრება და ბოლოს— მიზანთა-ნიზანი— „მისა (ე. ი. ქრისტეს) აღსარება“. წინადადებათა ასეთი თანმიყოლება, ზმნების, საწყისის ამგვარი განლაგებით აწარმოებს ავითარებს მეტისმეტად დინამიკურად, მაგრამ თხრობის ტემპი რომ უკიდურესობაში არ გადავიდეს და მსმენელი არ ააცდინოს ძირითად მიზანს, ბოლნელი ერთგვარად დამამუხრუჭებელ ხერხად იყენებს სწორედ ანაფორას. კერძოდ ყოველი წინადადების ერთი და იმავე სიტყვით დაწყება ცოტათი ანელებს ამ საოცარ ტემპს და მეორეც, რაც მთავარია, შთაბეჭდავს მსმენელში, რომ სწორედ ჩვენთვის არის ესა და ეს საჭირო; ლოგიკური მახვილი ეცემა ფრაზის პირველ ნახევარზე „ჩვენდა ჯერ არს-ზე“ და ამ უკანასკნელის რვაგზისი განმეორება აფხიზლებს, მობილიზაციას უკეთებს

²⁷ დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

მსმენელს და დამარწმუნებლად წარმოუდგენს მოვალეობის გრძნობას, მოქმედების მიზანს. მორწმუნეებისადმი მიმართვის შემდეგ მქადაგებელი კონტრასტული ხერხით ღვთაებისადმი შელალადებას მოითხოვს:

ივნე, ოკფალო, ივნე და მოგვძიენ ჩოკნ ცხოვარნი,

ივნე, იკჳალო, ივნე, და შეგოკწყალენ [ჩუენ] მწემსო კეთილო. ეს რიტმულად უაღრესად ჩამოძვრწილი ფრაზა რეფრენივით მეორდება გარკვეული პერიოდების ბოლოს,

„და კოკალად ვეტყუოდით: ივნე, ოკფალო, ივნე და გოკაცხოვენ ჩოკენ“. შემდეგ მქადაგებელს, მოჰყავს რა ციტატა სახარებიდან: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაპოკრალნი და ტკრთ მძიმენი და მე განგისოკენო თქოკენ“,

პათეტიკურად მიმართავს მსმენელებს:

„ჰხედავა სოკლგრძელებასა ძისა ღკრთისასა,

ჰხედავა აოკრაცხელსა კაცთმოკოკარებასა მისსა“

დაბოლოს რიტორიკული შეკითხვით ამთავრებს: „იხილეთლა სიერკცქ იგი მოწყალებათა მათ მისთა“²⁸. ასეთი რიტორიკული მიმართვებით ბოლნელს სურს ხაზი გაუსვას ქრისტეს სულგრძელობას და მსმენელებს ქვეტექსტით ეუბნება, განა გაოცებული არა ხართ თქვენ ღვთაების ესოდენ დიდბუნებოვანებობით და იქვე წარმოუდგენს მათ ღვთაებისაგან თითქოს და მოსალოდნელ საპირისპირო მოქმედებას, კერძოდ უფრო ბუნებრივი იქნებოდაო, რომ ჩვენ ცოდვილნი შევდაგებოდით და განვეცვენეთო, მაგრამ ამის ნაცვლად მან ზრუნვა გამოიჩინა ჩვენზეო. დადებით და უარყოფით მოვლენათა აი როგორ დაპირისპირებას ახდენს მქადაგებელი: „არა მოიდაგებს და არცა შეოკრაცხ ჰყოფს ცოდვილთა, არამედ განჰფენს სახიერებათა მისთა“. მოვლენების ასეთი კონტრასტულად წარმოდგენით, მოსალოდნელი შესაძლებლობისა და რეალური ვითარების ურთიერთშეპირისპირებით და ამ უკანასკნელის დადებითი ხასიათის მკვეთრად გამოყოფით ი. ბოლნელი არწმუნებს მსმენელს ღვთაების სიკეთეში.

კიდევ უფრო ძლიერი ზემოქმედების მიზნით იმავე აზრს ასეთივე დაპირისპირების ხერხით, მაგრამ სხვა სიტყვებითა და ახალი ნიუანსის შეტანით კვლავ იმეორებს ი. ბოლნელი: „რათა არა შეგოკამინნეს და გოკრცხოკენოდინ ჩოკნ ჩოკენებად მისა წყლოკლებად იგი ჩოკენი ოკდაგოკლად შეგოკახებს ჩოკენ და არა ერიდების სი-

²⁸ დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

მკრალესა მას შეცოდებათა ჩოვენთასა: არამედ ოჯუროდსლა და ოჯმეტსა ენაჲ მისი არა დასცხრების ჩოვენდა მომართ და იტყოვს: „მოვედით ჩემდა ყნი მაშურალნი და ტვრთ მციმენი და მე განგისუენო თქოვენ“²⁹. ეს ორი ციტატა ერთი და იმავე აზრის შემცველია, მსჯელობის განვითარება ორივეგან ერთნაირი ხერხითაა წარმოდგენილი, მხოლოდ განსხვავებულ სიტყვიერ სამოსში. ქადაგების მთელ მანძილზე ერთი და იგივე აზრის, დებულების რამდენიმეჯერ განმეორება ერთგვარი დარწმუნებითი მეთოდია ბოლნელისა, მაგრამ ეს გარემოება რომ არ იყოს ერთფეროვანი და მომაბეზრებელი, როგორც ვნახეთ, მას ახლებურად გამოთქვამს. ქადაგების შესავალ ნაწილს მოსდევს თვით ძირითადი თემის გაშლა: სახარების ტექსტის პერიფრაზი და კომენტარი. იმის ნათელსაყოფად; თუ როგორ შლის ი. ბოლნელი ქადაგებას, ერთმანეთს უნდა შეუპირისპიროთ სახარების ტექსტი და ამ ტექსტზე აგებული ბოლნელის ქადაგება. ლუკას სახარებაში გადმოცემულია ერთი ეპიზოდი: „და იყო დედაკაცი ვინმე ქალაქსა მას შინა, რომელი იყო ცოდვილ. ესმა ვითარმედ არს იგი სახლსა შინა მის ფარისეველისასა, მოიღო ჭურჭრითა ნელსაცხებელი და დადგა იგი ფერჯთა თანა იესუმსთა, ტიროდა და იწყო დალტობად ფერჯთა მისთა და თმითა თავისა თვისისაჲთა წარგოცდა და ამბორსუყოფდა ფერჯთა მისთა ჰსცხებდა ნელსაცხებელსა (ლუკა VII. 37—38). ეს მცირე ეპიზოდი, რომელიც სახარების ორ აბზაცშია გადმოცემული, იოანე ბოლნელს მთელ ქადაგებად აქვს გაშლილი. თუ სახარებაში ამბავის თხრობა იწყება დედაკაცის ქრისტესთან მისვლით, იოანე ბოლნელი ჯერ წარმოგვიდგენს ამ ქალის შინაგან განცდებს. აღწერს, თუ როგორ მკაცრ ანალიზს უკეთებს ეს ქალი თავის უზნეო საქციელს, ხოლო შემდეგ გადმოცემულია ის მძიმე სულიერი მღელვარება, რომელსაც განიცდის ცოდვილი ქალი ქრისტეს წინაშე წარდგომისას. ი. ბოლნელის თქმით „შთახედვიდა იგი (ქალი) გოჯლსა შინა და აღსწონდა ვითა სასწორითა საქმეთა თვისთა“ და ეს „საქმენი“ იყო დიდი ცოდვანი და ამის გამო ის მოკრძალებით, გაუბედავად და ერთგვარი შიშით თავისთვის ჩუმად ლულლულებს: „ანუ ვითარ მივხედო თოჯალითა ჩემითა მსაჯულსა მას ცხოველთასა და მკოვდართასა.

ანუ ვითარ შევეხო მაცხოვარსა სოფლისასა: მე სავსე ესე არა წმიდებითა.

²⁹ დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

ანუ ვითარ თაყოჯანის ვსცე მე ქრისტესა ძესა ლოჯთისასა მე არა ღირსმან ამან:

ანუ ვითარ ვხადო სახელსა მისსა წმიდასა და აუვარო მას, როძელსა ყოვლადვე არა მაქოჯს სიტყუსგებაჲ³⁰. თითქოს შიშისა და სირცხვილის გრძნობა ერთძანეთში გადახლართულა და ამის გამო ვერ გადაუწყვეტია, თუ როგორ მოიმოქმედოს. ამასთანავე ი. ბოლნელი ისე შლის თხრობას, რომ წარმოდგენილია ერთგვარი საფეხურები ქრისტესთან მიახლოებისა. ცოდვილი დედაკაცი თანდათან ავითარებს თავის ოცნებას — ღვთაებისადმი დაახლოებას. ჯერ თითქოს შეხედვას ვერ ბედავს, შემდეგ — შეხება უქირს, განწმედის ღრმა სურვილით გატაცებული ნორწმუნე უკვე თაყვანისცემაზე ოცნებობს დაბოლოს წარმოუდგენელია, თუ როგორ შესძლებს ქრისტეს აღიარებას. საერთოდ ბოლნელის მიხედვით ამ „ამ ცოდვილი დედაკაცი“-თვის პრობლემად განხდარა, თუ როგორ (ვითარ) ეჩვენოს ქრისტეს და ამიტომაცაა, რომ მქადაგებელი საგანგებოდ სწორედ ხუთგზის იმეორებს „ანუ ვითარ ვხადო“. ამით კიდევ უფრო ესმება ხაზი გადასაქრელ პრობლემას. კიდევ უფრო მეტი სიმძაფრისათვის ი. ბოლნელი კონტრასტულ ფერებში წარმოუდგენს მსმენელებს ქრისტეს და დედაკაცს; ქრისტე არის „მაცხოვარი სოფლისა“ ამბობს მქადაგებელი, ხოლო დედაკაცი იგი „საესქ არა წმიდებითა“, ქრისტე არის ძე ღვთისა, ხოლო დედაკაცი უღირსიო. ასეთი ურთიერთსაპირისპირო თვისებებით წარმოდგენა თითქოს კიდევ უფრო ამართლებს ამ ქალის გაუბედაობას. თითქოს მართლაც შეუძლებელია ამ ქალის ქრისტესთან მისვლა და მქადაგებლის მიერ თხრობის ასე განვითარება გარდა იმისა, რომ მეტად ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზე, ამასთანავე ამ უკანასკნელთ თითქოს აგუებს იმ აზრს, რომ ღვთაება მიუკარებელი და მიუწვდომელიაო. მაგრამ მისთვის ჩვეული ორატორული ხელოვნებით ქართველი მქადაგებელი მსმენელთათვის ნახულობს გამოსავალს. გარკვეული თვალსაზრისის ასე უკიდურესობამდე განვითარების შემდეგ ბოლნელი ახერხებს ერთგვარ მობრუნებას და უეცრად ხსნის ახალ პერსპექტივას, კერძოდ მოიწვევლებს რა ბიბლიურ წიგნებს, მსმენელებს გაახსენებს იმ ეპიზოდებს, რომლებშიაც გადმოცემულია ქრისტეს სულგრძელობა და დიდბუნებოვანობა, მისი მოვალეობა გზა აცდენილთა სახსნელად. ცოდვილი „დედაკაცი“ იმედმოცენული ამბობს „მასზეეს წიგნთაგანცა ვითარ ბგი“-ო და ჩამოთვლის ბიბლიურ ფაქტებს, რომლებშიც ღმერთის მიერ ცოდვილთა შეწყალებაზეა ლაპარაკი. ამ ეპიზოდების მოშვე-

³⁰ დასახ. ნაშრომი; გვ. 10.

ლიებით ი. ბოლნელი გზას უხსნის ცოდვილ „დედაკაცს“ ხსნისა-
კენ და ამ უკანასკნელმაც თითქოს ჰპოვა ერთგვარი საყრდენი და
სანუგეშებელი. ეს იძლევეს მას სტიმულს, რათა წარსდგეს ქრისტეს
წინაშე და იმედინად ამბობს:

„აღვდგე და მივიდე ოკოვდავისა მის მეოჯრისა,

„აღვდგე და მივიდე და შეოჯრდე მრავალ მოწყალეს მას,

„აღვდგე და მივიდე და თაყოვანის ვსცე კაცთ მოყოვარესა
მას“³¹.

წინადადებათა ასეთი ანათორული აგებით, „აღვდგე და მი-
ვიდე“-ს დაბეჯითებით გამეორება დამარწმუნებელ ძალას ზატებს
ცოდვილი დედაკაცის გადაწყვეტილებას. და მართლაც, განაგრძობს
შქადაგებელი: „აღდგა დედაკაცი იგი“ და შემდეგ გადმოცემულია
თვით სახარების ტექსტი. ასე რომ ი. ბოლნელი ვიდრე გადმოსცემდა
სახარების ეპიზოდს, იძლევა შესავალს, რომელშიაც მეტად რელიეფუ-
რად დიდი დრამატიზმით არის ასახული ცოდვილი „დედაკაცის“ გან-
ცდები. მსმენელი თვალს ადევნებს მის შინაგან რყევას, ორჭოფობას-
თხრობის ასეთი განვითარებით მსმენელს თანდათან ამზადებს და
ღრმად შეაყავს ქადაგების თემის არსში, ამავე დროს ცდილობს
სახარების გარკვეული ტექსტის მნიშვნელობის გადიდებას. ეს
წინასწარი განცდები, აშკარა ფსიქოლოგიური მოტივირება სრუ-
ლიად უცხოა სახარებისათვის. ი. ბოლნელი იძლევა ამ უკანასკ-
ნელში წარმოდგენილი ფაქტის ხორცშესხმას, ქვეტექსტის გახსნას,
გაშლას: უხსნის იმასაც, რაც სახარებაში ნათქვამი არ არის, მაგ-
რამ რაც იგულისხმება, როგორ უნდა იქნას გაგებული და ამას
ახერხებს არა მკრალი მსჯელობით, არამედ ცოცხალი სურათის
წარმოდგენით. საყურადღებოა, რომ თვით სახარების ტექსტის
პერიფრაზის დროსაც ამა თუ იმ დეტალების შეტანით მეტად
ამდიდრებს და სრულყოფს ეპიზოდს. მაგალითად, სახარების ერთი
წინადადება: დედაკაცი „ტიროდა და იწყო დაღობად ფერკთა
მისთა და თმითა თავისა თვისისაჲთა წარჰკოცდა და ამბორს უყოფდა
ფერკთა მისთა“ ი. ბოლნელს მთელ სურათად აქვს წარმოდგე-
ნილი:

„ტიროდა ტკივნეოვლად, ცრემლოვად ოჯწყინოდ: ნაკადოლნი-
წყალთანი გარდმოდინოდეს თოვალთაგან მისთა:

მაშინლა კადნიერ იქმნა და იწყო ცრემლითა დაბანად ფერკთა
მისთა და ყოვლადვე ვერ იკადრებდა იგი აღმოთქმად სიტყოვასა.
არამედ სოვლთითქოვმიდა:

³¹ დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

და დაჰბანდა ცრემლითა და თმითა თუსითა წარჰტოცდა ფერკთა მათ მისთა: და გოჯლსმოდგინედ ამბორს ოჯყოფდა ფერკთა მისთა“³². როგორც ვხედავთ, უაღრესად რეალისტურ ფერებშია სურათი დახატული. მსმენელს თვალნათლივ წარმოუდგენს მქადაგებელი უკიდურესად შეწუხებულ და გულამოსკვნით მტირალ ქალს. პირველსავე წინადადებაში ავლენს ი. ბოლნელი სურათის წარმოსახვის უნარს. ტირილი თავისთავად ფიზიკური ან სულიერი ტკივილის ნედგეგია, მაგრამ ბოლნელი არ კმაყოფილდება მხოლოდ ამის აღნიშვნით, რომ ქალი ტიროდაო, არამედ შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით უმატებს „ტიროდა ტკივნეოჯლად“, თითქოს ესეც ეცოტავა მქადაგებელს და კვლავ უმატებს: „ცრემლოოდა ოჯწყინოდ“, ცრემლოოდა და ტიროდა, რასაკვირველია, ერთი და იმავე ცნებების შემცველი სიტყვებია, მაგრამ ამ სინონიმური სიტყვების ურთიერთმიყოლებით ხმარება ახანგრძლივებს მსმენელის ყურადღებას გარკვეულ ფაქტზე, და ამ უკანასკნელზე გამეორებით ხაზგასმა კიდევ უფრო შთაბეჭდავს ხდის მას, დაბოლოს სურათის კიდევ უფრო სრულყოფის მიზნით ბოლნელი შესანიშნავ მხატვრულ სახეს ქმნის: „ნაკადულნი გარდმოდრიოდეს თოჯალთაგან მისთა“. თითქოს ტირილმა იმატა და პირველად ნახსენები ცრემლები წყალთა ნაკადულად იქცნენ და ამ ნაკადულად გადმოხეთქილმა ცრემლებმა თითქოს შვება მოჰგვარეს ქალს, გაშხედაობა შეჰმატეს მას და მხოლოდ „მაშინლა კადნიერ იქნა და იწყო ცრემლითა ბანად ფერკთა მისთა“, მაგრამ სიტყვის ამოღებას მაინც ვერ ბედავდა და ყელში ცრემლებმობჯენილი ი. ბოლნელის სიტყვითლა „სოჯლთითქოჯმიდა“.

ამაზე მეტი რელიეფურობით, სისაესით და, საერთოდ, ოსტატობით მტირალი ქალის სახის წარმოდგენა საერო ხასიათის ძეგლებშიაც იშვიათად გვხვდება.

სახარების ტექსტის პერიფრაზს მოსდევს დასკვნა და რელიგიურ-მორალური ხასიათის მიმართვა მსმენელთადმი.

ზემოთ მოყვანილი ეპიზოდი, როგორც აღვნიშნეთ, ყურადღებას იპყრობს სურათის დახატვის თვალნათლობით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა. საერთოდ იოანე ბოლნელს ეხერხება მოვლენისა და საგნის დასანახად წარმოდგენა. სხვა ქადაგებებშიაც პირდაპირ ფერწერული ოსტატობით არის დახატული მსაჯულის კარზე მუხლმოდრეკილი ქვრივი: „შე-

³² დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

ოკრდებინ, ტირნ, ცრემლოვინ, მოეხოვეინ ფერჯთა მისთა; აკო-
 ცებნ მოკლთა მისთა, ამბორს ოკოფნ ჯელთა მისთა“. საინტერე-
 სოდ არის წარმოდგენილი სურათი. ჯერ ზოგადად არის წარმოდგე-
 ნილი „ტირნ“, ამ ფაქტზე ყურადღების გახანგრძლივებისა და შთაბეჭ-
 დილების გამეორების მიზნით კვლავ აღნიშნავს იმავე მდგომარეობას,
 მაგრამ უკვე სხვა სიტყვით—„ცრემლოვინ“, შემდეგ კიდევ უფრო
 აკონკრეტებს—„მოეხოვეინ ფერჯთა მისთა“ დაბოლოს მსმენელი
 დეტალებამდე მიჰყავს—„აკოცებნ მოკლთა მისთა, ამბორს ოკოფნ
 ჯელთა მისთა“ და იქმნება დასრულებული, სავსებით ნათელი სურ-
 რათი. აქვე უნდა აღინიშნოს—ი. ბოლნელი, გააჩნია რა მეტად
 მდიდარი ლექსიკა, არასოდეს ერთსა და იმავე სიტყვას არ
 იმეორებს; როდესაც მას სჭირდება ერთისა და იმავე ცნების
 რამდენჯერმე გამოხატვა, მუდამ ეძებს ამ ცნების გამომსახველ
 სინონიმურ სიტყვებს და ერთსა და იმავე სიტყვას არასოდეს არ
 გამოხატავს. მოცემულ შემთხვევაშიაც ლაპარაკია იმის შესახებ,
 თუ როგორ დაუკოცნა ხელ-ფეხი ქერივმა მსაჯულს, მაგრამ იოანე
 ბოლნელს სურს რა თითოეული ფაქტი ცალკე, ხაზგასმულად გა-
 მოჰყოს, ამიტომ ერთისა და იმავე მოქმედების ორგზისი აღნიშვნა
 სხვადასხვა ზმნით აქვს წარმოდგენილი: თუ პირველ შემთხვევაში
 ამბობს „მუჯლთა მისთა“ აკოცაო, მეორე შემთხვევაში აკოცა ზმნა
 შეცვლილი აქვს „ამბორებით“—„ამბორს ოკოფნ“-ო. ეს თითქოს
 და უმნიშვნელო დეტალი მეტად ძლიერ მხატვრულ ეფექტს ქმნის,
 და ყოველივე ამით ახერხებს ის სურათის ასე დამარწმუნებლად
 დახატვას.

როგორც კვინტილიანე³³ აღნიშნავდა, ორატორის დიდი ღირ-
 სებაა, რომ საგანი ან მოვლენა გამოხატოს ისე ცოცხლად, რომ
 ისინი თვალწინ წარმოგვიდგეს; უკმაყოფილების გრძნობას იწვევს,
 როდესაც მსმენელი მხოლოდ ისმენს თხოვნას და ვერ ხედავს, თუ
 რის შესახებაა საუბარი. ისევე როგორც ყველა დიდი მკვივრმეტ-
 ყველისათვის, ი. ბოლნელისათვისაც სწორედ დამახასიათებელია,
 რომ მისი მსმენელები არა მარტო ისმენენ, არამედ ხედავენ კი-
 დეც, თუ რის შესახებ ლაპარაკობს მქადაგებელი. ამიტომ არაა
 შემთხვევითი, რომ ი. ბოლნელი აღნიშნული სურათის დახატვის
 შემდეგ მიმართავს მსმენელებს: აწ ხედავთა, საყვარელნო, რავდენ

³³ Квинтилиан М. Р., Двенадцать книг риторических настав-
 лений, ч. II, кн. 8, гл. 5. 83. 67, 1834.

კეთილ არს ოჯახში ვედრება და თაყოზანის ცემა“. ასევე სხვა სურათის დახატვის შემდეგაც ეკითხება მსმენელთ: „ხედავთა, საყოზარელნო, რავდენ ცმელ არს მდიდართა შესლვა სასუფეველსა“. მაშინ, როდესაც სხვა შემთხვევაში, კერძოდ მსჯელობისა და არა სურათის დახატვის შემდეგ, ი. ბოლნელი სვამს კითხვას: „გესმაა, მსაჯოვლო იგი“.

ამრიგად, იოანე ბოლნელის ქადაგების სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელია არა მარტო სმენითი, არამედ მხედველობითი ასოციაციების შექმნა.

ი. ბოლნელის სტილისათვის მეტად დამახასიათებელია აგრეთვე, რომ არგუმენტი იქნება ის თუ დებულება, ებითეტი თუ მიმართვა, ყველას სამგზის ხმარობს. ეს საწმაგობა პირდაპირ ნიშანდობლივია ი. ბოლნელის ქადაგებისათვის. შეიძლება ვიფიქროთ სტილის ეს მხარე განააირობა საერთოდ ქრისტიანულმა სიმბოლიკამ. ქრისტიანულ რელიგიაში რიცხვი სამი წმიდათა-წმიდა სიმბოლოა და ღრმად მორწმუნე მქადაგებელს მხატვრულ აზროვნებაში საწყისი შეიძლება მისცა ქრისტიანული მოძღვრების ამ ერთ-ერთმა მთავარმა დოგმამ. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ი. ბოლნელი განწმედის სამგზისობას უსვამს ხაზს: „განვიწმიდენით თავნი ჩუენნი ლოცვითა, მარხვითა და ვედრებითა“; ასევე არა ერთგზის იმეორებს: „ვადიღებდეთ მამას, ძესა და წმიდასა სულსა“; არა მარტო მსოფლმხედველობის, არამედ წმიდა ემოციონალური, რიტმულობის თვალსაზრისითაც, ხომ არ განსაზღვრა ქრისტიანული დოგმის ამ სახეობამ ი. ბოლნელთან სამგზისობის პრინციპის დაცვა. მაგრამ, ჩვენი აზრით, მხოლოდ ქრისტიანულ სიმბოლიკაზე დაყრდნობა საკმარისი არ არის მოვლენის ახსნისათვის. საქმე იმაშია, რომ რიცხვ სამს საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს წარმართულ ქართულ აზროვნებაში. ჯერ კიდევ არექრისტიანულ დროინდელ ზღაპრებში სამი ყველაზე გავრცელებული სიმბოლიური სახეა: სამი ცმა, სამი მეგობარი, სამი დავალება, სამი დაბრკოლება, სამი გზა და სხვა. ასე რომ ქრისტიანული კულტურის შემოსვლას საქართველოში დახვდა სამის სიმბოლიკის დიდი ტრადიცია და ქრისტიანული დოგმა გადაეჯაჭვა წარმართული ქართული კულტურის ამ ერთ ფენომენს. ამიტომ სამის სიმბოლიკას ჩვენს სინამდვილეში ეროვნული ელფერი გადაჰკრავს, ის ორგანულად შეუსისხლხორცდა ქართველი კაცის აზროვნებას და მის სულიერ კულტურაში საუკუნეების მანძილზე არა ერთგზის მრავალფეროვნად გამოვლინდა. სხვას რომ თავი დავანებოთ, ვეფხის-

ტყაოსანი მთლიანად გამსჭვალულია სამის სიმბოლიკით. ასევე შემთხვევითი არაა, რომ სულხან-საბას გასაოცრად უყვარს რიცხვი სამი, რომელიც ხშირად გვხვდება არა მარტო არაკებში, არამედ შეგონებებშიაც, გავიხსენოთ მისი ჰინი ამხანაგობა-მეგობრობისადმი, რომელშიაც მეგობრობის თვისებები სამ-სამად არის ჩამოყალიბებული; ასევე შეგონებები ცხოვრების სხვადასხვა მხარეებზე: „მტერობა სამთა ჰმართებს“, „სამთა ჰმართებენ სიტკბონი, სამნი შვრებიან ცუდად, სამთა მართებენ ენათა მრავლობა, სამთა ჰმართებენ გარდახვეწა, სამთა ენატრება სიკვდილი, სამნი განიძებიან, სამნი განარისხებენ კაცსა“... და სხვ. ასე, რომ სამის სიმბოლიკა ქართულ მწერლობაში მეტად მრავალფეროვნად გამოვლინდა: როგორც აზროვნების ზოგადი პრინციპების სფეროში, ნაწარმოების იდეური შინაარსისა თუ არქიტექტონიკის მხარეში, ისე მეტაფორების, ეპითეტებისა და მხატვრულ შედარებათა ხმარებაში.

ამა თუ იმ დებულებისა თუ სიტყვის სამჯერ გამეორება, როგორც ვთქვით, ი. ბოლნელის სტილის ერთ-ერთი ნიშანდობლივი მხარეა. მაგალითად, მსშენელზე უფრო ნეტი ზემოქმედების მიზნით ის სამჯერ ეკითხება: „რახსათჳს განიბნევის ცოჳდად, რახსათჳს დაითესვის, რომელი იგი არა აღმოეცენების, რახსათვის დაენერგვის, რომელსა ნაყოფი არ გამოაქვს“. ჯერ ერთი, პერიოდის ანაფორული აგება გარკვეული ემოციური ძალის შემცველია, და მეორეც, უფრო მეტ დაბეჯითებას ჰმატებს მას. ასევე ანაფორული წყობისაა შემდეგ რიტორიკულ შეკითხვათა სისტემა:

ვინმემცა არა მივიდა მისა?

ვინმემცა არა მოეგებოდა?

ვინმემცა არა ისმენდა ბრძანებათა მათ მისთა?

აღნიშნული რიტორიკული შეკითხვები სამგზის დასმულია არა პასუხის მოლოდინში, არამედ დამარწმუნებლობის გაზრდისათვის; ერთფეროვნების თავიდან აცილების მიზნით იოანე ბოლნელი ხშირად სამჯერ იმეორებს არა ერთსა და იმავე სიტყვას, არამედ სხვადასხვა სიტყვებით ერთისა და იმავე ცნებას სამგზის გამოხატავს და ეს სიტყვები აღმავლობით, გრადაციის გზით არიან განლაგებულნი: მაგალითად, „განკიცხა, განაქიქა, განაბასრა“ ამბობს მქადაგებელი ადამის შესახებ. ზოგჯერ სამგზისი გაქეორებით მქადაგებელი სამ საფეხუოს წარმოავდიდგენს მოვლენისას, ან აღშავალს, როგორც ზემოთ ვნახეთ, ანდა დაღმავალს—ზოგადიდან კონკრეტულობისაკენ მივყევართ: ქრისტე „ოჯთხრობდა ერსა მას, ასწავებდა მათ, ეტყუადა“, ძირველად განყენებულად არის თქმული—უთხრობდაო, შემდეგ დაკონკრეტებულია თხრობის ხასიათი, კერ-

ძოდ, სწორედ ასწავლიდა და არა უბრალოდ უთხრობდაო, და-
ბოლოს დაზუსტებულია თვით სწავლა, კერძოდ ის ზოგადი ხა-
სიათის კი არ იყო, არამედ წარმართული იყო გარკვეული ობი-
ექტისადმი, ეტყოდა ამასა და ამასო, და არა საერთოდ იტყოდაო.

ქრისტიანულ მწერლობაში ხშირია ღვთაების მხოლოდ ეპი-
თეტივით ან სიზბოლოთი ხსენება. იოანე ბოლნელსაც დაუსახელებ-
ლად მხოლოდ „რომელი“ ნაცვალსახელის სამჯერ გამეორებით
მოხაზული აქვს ღვთაების მთელი ბუნება: „რომელი გარდმოჰდა
წიაღთაგან მამისათა და წიაღნი მისნი არა დააცალიერნა.

რომელი იგი საყდართა ზედა მჯდომარჲ მამისა თანა განა-
გებდა: საშოსა ქალწოვლისასა ოვთესლოდ დაემკვდრა და იშვა
მისგან ჯორციელად: და რომელი იგი ცათა შინა მამისა და სოვ-
ლისა წმიდისა თანა ანგელოზთა მიერ თაყუანის იცემების და იდი-
დების“... ნაცვალსახელი „რომელი“-თ ღვთაების მოხსენება ქართულ
მწერლობაში არა იშვიათია. დოც. გ. იმედაშვილის* დაკვირვებით
ეს ხერხი ხშირია ქართულ ჰიმნოგრაფიაში, რომელთანაც გენეტი-
კურ კავშირში იხილავს პატივცემული მკვლევარი ვეფხისტყაოსნის
ცნობილ სტროფს „რომელმან შექმნა სამყარო“... ყურადღებას
იპყრობს აგრეთვე შემდეგი შემთხვევა: ბოლნელი ჩამოთვლის რა
ღვთაების თვისებებს, დასაწყისში, პირველად ახსენებს ღვთაებას,
ხოლო მომდევნო წინადადებებში ნაცვალსახელი „მისსას“ განმეორე-
ბებით ხაზს უსვამს, რომ ესა და ეს თვისებები სწორედ ღვთაებას
ახასიათებს და არა სხვას: ხედავთა მრავალსა მოწყალეებასა ღვთისასა

და მოყოვარებასა მისსა

და დიდსა სიტკბოებასა მისსა

და აოვრაცხელსა მას მისსა სიძაბლესა.

როგორც ვხედავთ, წინადადების ბოლოში „მისსა“ რეჟრე-
ნივით ეღერს და ღვთაების განუწყვეტელ ასოციაციას ქმნის,
ყველა წინადადება ესიტყვება პირველს და არა მარტო რიტმულო-
ბით ქმნის ემოციას, არამედ რითმის იერსაც ატარებს.

შეიძლება კითხვა დაგვებადოს, თუ რატომ მაინცადამაინც სამ-
გზის იმეორებს ი. ბოლნელი ერთსა და იმავე სიტყვას და არა
ორჯერ ან ოთხჯერ. საქმე იმაშია, რომ ზემოთ მოყვანილ მაგა-
ლითებში ესა თუ ის სიტყვა ორჯერ რომ იყოს გამეორებული,
მაშინ დაუმთავრებელი, რაღაც მოკვეთილის შთაბეჭდილება შე-
გვექმნებოდა, რაც გამოიწვევდა უკმაყოფილების გრძნობას, ხოლო
ოთხჯერ გამეორება—უკვე გაზვიადებაა, გაჭიანურებული და ამ-

* გ. იმედაშვილი, ვეფხისტყაოსნის პარალელები X საუკუნის ქარ-
თულ ჰიმნოგრაფიაში. ლიტერატურული ძიებანი, 1944, II, გვ. 117—218.

დენად ფრაზა დამძინებული. ბოლნელის ნიერ შერჩეული სამგზი-სობა კი თავისი ჯანსაღი შინაგანი რიტმულობით მსუბუქი ასა-თვისებელი და საამოდ მელერია. ემოციურობასთან ერთად შემეც-ნებელი ძალაც გააჩნია.

